# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 10 დეკემბერი 2005 №284 (2607) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ტოპშანსი ჭაობიდან გასატოპად

### ნაშუადღამევს თბილისში ტოპმიოლერი ჩამოვა

ერთი დღეც და, კლაუს ტოპმიოლერი თბილისში იქნება, საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატი კვირას, გამთენიისას ჩამოფრინდება ფრანკფურტ-თბილისის რეისით მეუღლესთან, როზისთან ერთად.

ჰერ კლაუსი სასტუმრო „თბილისი მერიოტში" დაბინავდება, ორშაბათს კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში პრესკონფერენციას გამართავს. რა როგორ იქნება, შეთანხმდებიან თუ არა თმახუჭუჭა გერმანელი მწვრთნელი და ნოდარ ახალკაცი, ამას უახლოეს დღეებში გავიგებთ. ტოპმიოლერი 13 დეკემბერს გაემგზავრება თბილისდან გერმანიაში. მთავარია, რა პასუხს დაგვიტოვებს...

## რონალდინიო კულუარებიდან



განა ყოფილა თუნდაც ერთი შემთხვევა, ამა თუ იმ დიდ გამოკითხვაში გამარჯვებულის სახელი ხალხს წინასწარ არ გაეგო! ასეა ახლაც, როდესაც მოახლოვდა 19 დეკემბერი ანუ ფიფას ლაურეატთა დაჯილდოების თარიღი. კითხვაზე, ვინ იყო 2005 წლის საუკეთესო ფეხბურთელი, პასუხი მსოფლიოს ყველა ქვეყნის ნაკრებთა მწვრთნელებს უნდა გაეცათ და როგორც კულუარებიდან გამოჟონა, მათაც ის გვარი დაასახელეს, რომელიც ამასწინათ ევროპელმა ჟურნალისტებმა ბრძანეს — რონალდინიო.

მეორე ადგილზე მისი ბარსელონელი თანაგუნდელი, ტომით კამერუნელი სამუელ ეტოო გასულა, მესამეზე კი ინგლისის ნაკრებისა და „ჩელსის" ნახევარმცველი ფრენკ ლამპარდი.

# გერ-მანია დაიწყო!

## ლაიპციგში ბურთი აალაპარაკეს

*წუხელ, 9 დეკემბერს ლაიპციგში გაირკვა, რომ ზუსტად ექვსი თვის შემდეგ, 9 ივნისს, მიუნხენის „ალიანს არენაზე" გერმანიისა და კოსტა რიკის მატჩით გაიხსნება მსოფლიოს მეთვრამეტე ჩემპიონატი, რომლის ფინალური შეხვედრა ზუსტად შვიდი თვის თავზე, 9 ივლისს, ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე" გაიმართება. წილისყრის დიდებულ და ორიგინალურ ცერემონიალზე, რომელსაც სუპერქალი ჰაიდი კლუმი და ტელეწამყვანი რაინჰოლდ ბეკმანი უძღვებოდნენ, სცენაზე უამრავი ვარსკვლავი მიიწვიეს.*

*ილუზიონისტმა ჰანს კლოკმა ჯერ მსოფლიო თასი გააქრო და გააჩინა, შემდეგ კი ასისტენტი ქალები ჩაყარა იმავე დღეში, მუნდიალის ოფიციალურმა თილისმამ გოლეო 6-მა მოლაპარაკე ბურთთან გააბა საუბარი, კოლუმბიელმა პოპ-ვარსკვლავმა ხუანესმა და მისმა ანსამბლმა „ლა კამისა ნეგრამ" თავიანთი რიტმულ-ლათინური ჰიტი დაამღერეს, მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც ის იყო, რომ შედგა ორი საშინელი ჯგუფი: C, რომელშიც თავი მოიყარეს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა არგენტინამ, დიდიე დროგბას კოტ დივუარმა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველადაა, სერბეთმა, ჰოლანდიამ; და E, რომელშიც მოხვდნენ იტალია, განა, აშშ და ჩეხეთი.*

*მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილია F ჯგუფში ხორვატიას, ავსტრალიას და იაპონიას გადაეყარა ანუ იაპონელთა თავკაცი, ლეგენდარული ზიკო თანამემამულეებს უნდა დაუდგეს. ისევე, როგორც შესარჩევ ჯგუფში, საფრანგეთი და შვეიცარია G ჯგუფში კვლავ ერთად მოხვდნენ, ხოლო B ჯგუფში ინგლისი შვედეთს შეხვდა ანუ მისი მწვრთნელი სვენ გორან ერიქსონი, ზიკოსი არ იყოს, სამშობლოს შეებრძოლება. გეხსომებათ, ეს გუნდები ოთხი წლის წინანდელ მუნდიალზეც ერთ ჯგუფში იყვნენ.*

კალენდარი და ჯგუფები იხილეთ მეორე გვერდზე



AFP

# გერმანია 2006

## A ჯგუფი

- გერმანია
- კოსტა რიკა
- პოლონეთი
- ეკვადორი

| | |
|---|---|
| 9 ივნისი. მიუნხენი | (1) გერმანია — კოსტა რიკა |
| 9 ივნისი. გელზენკირხენი | (2) პოლონეთი — ეკვადორი |
| 14 ივნისი. დორტმუნდი | (17) გერმანია — პოლონეთი |
| 15 ივნისი. ჰამბურგი | (18) ეკვადორი — კოსტა რიკა |
| 20 ივნისი. ბერლინი | (33) ეკვადორი — გერმანია |
| 20 ივნისი. ჰანოვერი | (34) კოსტა რიკა — პოლონეთი |

## B ჯგუფი

- ინგლისი
- პარაგვაი
- ტრინიდადი
- შვედეთი

| | |
|---|---|
| 10 ივნისი. ფრანკფურტი | (3) ინგლისი — პარაგვაი |
| 10 ივნისი. დორტმუნდი | (4) ტრინიდადი — შვედეთი |
| 15 ივნისი. ნიურნბერგი | (19) ინგლისი — ტრინიდადი |
| 15 ივნისი. ბერლინი | (20) შვედეთი — პარაგვაი |
| 20 ივნისი. კიოლნი | (35) შვედეთი — ინგლისი |
| 20 ივნისი. კაიზერსლაუტერნი | (36) პარაგვაი — ტრინიდადი |

## C ჯგუფი

- არგენტინა
- კოტ დივუარი
- სერბეთი
- ჰოლანდია

| | |
|---|---|
| 10 ივნისი. ჰამბურგი | (5) არგენტინა — კოტ დივუარი |
| 11 ივნისი. ლაიპციგი | (6) სერბეთი — ჰოლანდია |
| 16 ივნისი. გელზენკირხენი | (21) არგენტინა — სერბეთი |
| 16 ივნისი. შტუტგარტი | (22) ჰოლანდია — კოტ დივუარი |
| 21 ივნისი. ფრანკფურტი | (37) ჰოლანდია — არგენტინა |
| 21 ივნისი. მიუნხენი | (38) კოტ დივუარი — სერბეთი |

## D ჯგუფი

- მექსიკა
- ირანი
- ანგოლა
- პორტუგალია

| | |
|---|---|
| 11 ივნისი. ნიურნბერგი | (7) მექსიკა — ირანი |
| 11 ივნისი. კიოლნი | (8) ანგოლა — პორტუგალია |
| 16 ივნისი. ჰანოვერი | (23) მექსიკა — ანგოლა |
| 17 ივნისი. ფრანკფურტი | (24) პორტუგალია — ირანი |
| 21 ივნისი. გელზენკირხენი | (39) პორტუგალია — მექსიკა |
| 21 ივნისი. ლაიპციგი | (40) ირანი — ანგოლა |

## E ჯგუფი

- იტალია
- განა
- აშშ
- ჩეხეთი

| | |
|---|---|
| 12 ივნისი. ჰანოვერი | (9) იტალია — განა |
| 12 ივნისი. გელზენკირხენი | (10) აშშ — ჩეხეთი |
| 17 ივნისი. კაიზერსლაუტერნი | (25) იტალია — აშშ |
| 17 ივნისი. კიოლნი | (26) ჩეხეთი — განა |
| 22 ივნისი. ჰამბურგი | (41) ჩეხეთი — იტალია |
| 22 ივნისი. ნიურნბერგი | (42) განა — აშშ |

## F ჯგუფი

- ბრაზილია
- ხორვატია
- ავსტრალია
- იაპონია

| | |
|---|---|
| 13 ივნისი. ბერლინი | (11) ბრაზილია — ხორვატია |
| 12 ივნისი. კაიზერსლაუტერნი | (12) ავსტრალია — იაპონია |
| 18 ივნისი. მიუნხენი | (27) ბრაზილია — ავსტრალია |
| 18 ივნისი. ნიურნბერგი | (28) იაპონია — ხორვატია |
| 22 ივნისი. დორტმუნდი | (43) იაპონია — ბრაზილია |
| 22 ივნისი. შტუტგარტი | (44) ხორვატია — ავსტრალია |

## G ჯგუფი

- საფრანგეთი
- შვეიცარია
- კორეა
- ტოგო

| | |
|---|---|
| 13 ივნისი. შტუტგარტი | (13) საფრანგეთი — შვეიცარია |
| 13 ივნისი. ფრანკფურტი | (14) კორეა — ტოგო |
| 18 ივნისი. ლაიპციგი | (29) საფრანგეთი — კორეა |
| 19 ივნისი. დორტმუნდი | (30) ტოგო — შვეიცარია |
| 23 ივნისი. კიოლნი | (45) ტოგო — საფრანგეთი |
| 23 ივნისი. ჰანოვერი | (46) შვეიცარია — კორეა |

## H ჯგუფი

- ესპანეთი
- უკრაინა
- ტუნისი
- საუდეთი

| | |
|---|---|
| 14 ივნისი. ლაიპციგი | (15) ესპანეთი — უკრაინა |
| 14 ივნისი. მიუნხენი | (16) ტუნისი — საუდეთი |
| 19 ივნისი. შტუტგარტი | (31) ესპანეთი — ტუნისი |
| 19 ივნისი. ჰამბურგი | (32) საუდეთი — უკრაინა |
| 23 ივნისი. კაიზერსლაუტერნი | (47) საუდეთი — ესპანეთი |
| 23 ივნისი. ბერლინი | (48) უკრაინა — ტუნისი |

## მერვედფინალი

| | |
|---|---|
| 24 ივნისი. მიუნხენი (49) | A1 - B2 |
| 24 ივნისი. ლაიპციგი (50) | C1 - D2 |
| 25 ივნისი. შტუტგარტი (51) | B1 - A2 |
| 25 ივნისი. ნიურნბერგი (52) | D1 - C2 |
| 26 ივნისი. ლაუტერნი (53) | E1 - F2 |
| 26 ივნისი. კიოლნი (54) | G1 - H2 |
| 27 ივნისი. დორტმუნდი (55) | F1 - E2 |
| 27 ივნისი. ჰანოვერი (56) | H1 - G2 |

## მეოთხედფინალი

| | |
|---|---|
| 30 ივნისი. ბერლინი (57) | 49/1 - 50/1 |
| 30 ივნისი. ჰამბურგი (58) | 53/1 - 54/1 |
| 1 ივლისი. გელზენკირხენი (59) | 51/1 - 52/1 |
| 1 ივლისი. ფრანკფურტი (60) | 55/1 - 56/1 |

## ნახევარფინალი

| | |
|---|---|
| 4 ივლისი. დორტმუნდი (61) | 57/1 - 58/1 |
| 5 ივლისი. მიუნხენი (62) | 59/1 - 60/1 |

## მატჩი მე-3 ადგილისთვის

| | |
|---|---|
| 8 ივლისი. შტუტგარტი (63) | 61/2 - 62/2 |

## ფინალი

| | |
|---|---|
| 9 ივლისი. ბერლინი (64) | 61/1 - 62/1 |

UNDER21 CHAMPIONSHIP

# უეფამ 21-წლამდელებს საქმე ჩაუხლართა

**უეფას** თავი ასტკივდა და საკმაოდ უცნაური იდეა მოუვიდა — ახალგაზრდული (21-წლამდელთა) ნაკრებების შესარჩევი ეტაპების სტრუქტურა შეცვალა. ამაში თითქოს ცუდი რა უნდა იყოს, მაგრამ...

ჯერ ვეცდებით, ახალ ფორმატში გაგარკვიოთ: მოგეხსენებათ, უეფაში სულ 52 წევრია. პირველ ჯერზე ამ 52 ქვეყნიდან უეფას 42-ის დატოვება სურს. ამიტომ უეფას რეიტინგში ბოლო ოც (32-52) ადგილზე მყოფი ნაკრებები წილისყრით დაწყვილდებიან და წაგებულები გავარდებიან. ანუ დარჩა სასურველი 42 გუნდი.

სანამ მომდევნო ეტაპზე ვიტყოდეთ, გაცნობებთ, რომ საქართველო ამჟამად 39-ე ადგილზეა, ანუ პირველივე პლეი ოფში მონაწილეობს — მატჩები 2006 წლის მარტიდან ივლისამდე გაიმართება.

გავაგრძელოთ: 42 გუნდი იყოფა 14 ჯგუფად — სამ-სამი გუნდი თითო ჯგუფში. მატჩები ჩატარდება 16 აგვისტოს ან 2-5 სექტემბერს, თანაც გუნდები ერთმანეთს თითოჯერ ხვდებიან, ანუ ჯგუფში მხოლოდ და მხოლოდ ორი თამაში უწევთ.

მოკლედ, ამ 14 ჯგუფიდან პირველადგილოსნები გადიან პლეი ოფში, რომელიც 7-8 და 10-11 ოქტომბერს ჩატარდება და აქედან გასული შვიდი საუკეთესო ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს.

ალბათ ძალიან დაგაბნიეთ, მაგრამ რა ჩვენი ბრალია — უეფამ ასე ინება და აქამდე აწყობილი სისტემა რატომღაც ასეთნაირად შეცვალა. ცუდი კი ამაში ისაა, რომ ახალგაზრდულ ნაკრებებს აქამდე სულ მცირე ექვსი მატჩი მაინც უწევდათ, ახლა შეიძლება ორ თამაშში დაამთავროს ციკლი.

სხვა რაღა დაგვრჩენია: დაველოდოთ 27 იანვარს. ეროვნულ ნაკრებთა გარდა იმ დღეს ახალგაზრდულთა წილისყრაც მოეწყობა.

**კახა ზალამბერიძე**

# სირაძე გერმანიაში

## თუ ერცგებირგე არა, მაშინ ყაზანი



**24 წლის** დავით სირაძე, ვისაც ეროვნულ ნაკრებში ორჯერ უთამაშია, გერმანიაში ბრუნდება — დღეს სირაძე ერცგებირგეში ჩავა, რათა იქაურ აუე-ს მოელაპარაკოს.

აუე ახლა თვრამეტგუნდა მეორე ბუნდესლიგაში მე-13 ადგილზეა, სირაძეს კი აქამდე ორ მეორებუნდესლიგურ გუნდში უთამაშია — ბერლინის „უნიონსა“ და ტრირის „აინტრახტში“, ხოლო მიმდინარე სეზონის პირველ ეტაპზე თბილისის „ლოკომოტივში“ გამოდიოდა. იმასაც შეგახსენებთ, რომ აუე-ში თავის დროზე უკვე უთამაშია ქართველს — ხვიჩა შუბითიძეს, ვინც ახლა რეგიონალლიგის „ზანკტ პაულის“ ღირსებას იცავს.

აუე-მ სირაძეს მოწვევა კი გაუგზავნა, მაგრამ, ცხადია, გამორიცხული არაა, რომ კლუბი და ფეხბურთელი ვერ შეთანხმდნენ.

სირაძეს სათადარიგო ვარიანტიც აქვს — მისით დაინტერესდა რუსული პრემიერლიგის „რუბინი“, სადაც დამდეგ სეზონშიც ითამაშებენ გიორგი ქინქლაძე და ლაშა სალუქვაძე — „რუბინს“ უეფას თასის საგზური აქვს მოპოვებული და, ზოგადად, ქართველი ფეხბურთელების მიმართ სიმპათიითაა განწყობილი.

**დავით თავართქილაძე**

# რომც მოვინდომოთ, არ გავვარდებით

## თბილისს თავისუფალი ლოკომოტიველები სურს

**ჯერ კიდევ** შარშან ამ დროს „თბილისი“ საქართველოში უძლიერესი თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე სიმპათიური და პერსპექტიული გუნდი იყო. მერე კი იცით, რაც მოხდა — „თბილისი“ ახლა ჩემპიონატში აუტსაიდერია, მაგრამ ცოტას თუ ჰგონია, რომ ეს გუნდი უმაღლესი ლიგიდან გავარდება. ითქვა, „თბილისი“ ზამთრის შესვენებაზე რამდენიმე გამოცდილ ფეხბურთელს დაიმატებსო და ამის შესახებ კლუბის ერთ-ერთ დამფუძნებელ მამუკა გუგეშაშვილს დავუკავშირდით.

„ჩვენ არგავარდნაზე ვფიქრობთ, ამ სეზონში მეტის ამბიცია არ გვაქვს. ფეხბურთელები რომც არ დავიმატოთ, იმდენი სუსტი გუნდია ქვედა ზონაში, ძალიანაც რომ მოვინდომოთ, არ გავვარდებით. ხვალ კრება გვექნება, ჯერჯერობით კი „ლოკომოტივის“ ფეხბურთელების აყვანაზე ვფიქრობთ. ორი-სამი კაცის დამატება გვინდა, მაგრამ მხოლოდ ისეთების, ვისშიც ფული არაა გადასახდელი“ — გვითხრა გუგეშაშვილმა.

იყო ლაპარაკი, შესაძლოა, „თბილისში“ „ბორჯომის“ რამდენიმე მოთამაშე (რომლებიც ამ სეზონის დასაწყისში წავიდნენ „თბილისიდან“) დაბრუნდესო, თუმც გუგეშაშვილმა ეს გამორიცხა. სამაგიეროდ, გიორგი დევდარიანის გუნდიდან წასვლას აპირებს 18 წლის მცველი გიორგი ფოფხაძე, რომელსაც რამდენიმე ვარიანტი გამოუჩნდა და გუგეშაშვილმა მათ შორის მოსკოვის „ტორპედოც“ ახსენა.

**ილია ნანობაშვილი**

სარბიელელები სამძიმარს
ვუცხადებთ
„ამერის“ ფეხბურთელს
ვახტანგ ხვადაგიანს მამის
**თენგიზ ხვადაგიანის**
გარდაცვალების გამო

ფეხბურთის კლუბი „ამერი“
თანაუგრძნობს კლუბის
ფეხბურთელს
ვახტანგ ხვადაგიანს მამის
**თენგიზ ხვადაგიანის**
გარდაცვალების გამო



რევაზ გეწაძე (მარჯვნივ) შესაძლოა „დინამოში“ გადავიდეს

# მეორე ცდა: დინამო — გეწაძე

**20 წლის** ნახევარმცველი რევაზ გეწაძე ვინძლო თბილისის „დინამოში“ ჩაირიცხოს — ასეთია ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაცია და იმასაც შეგახსენებთ, რომ გეწაძე „დინამოში“ 2004-2005 წლების საშუასეზონო პერიოდში უნდა გადასულიყო, მაგრამ მაშინ ბოლო მომენტში ტრანსფერი ჩაიშალა და გეწაძე „თბილისიდან“ „ბორჯომში“ აღმოჩნდა.

მოკლედ, დიდი შანსია, რომ მეორე ცდაზე მხარეები ყველაფერზე შეთანხმდნენ და გეწაძე დინამოელი გახდეს.

როგორც შევიტყვეთ, „დინამომ“ კიდევ ორ ახალგაზრდა ფეხბურთელს დაადგა თვალი — მარჯვენაფლანგელ გიორგი სეთურიძეს და ფორვარდ გიორგი კახელიშვილს — ისინი თბილისის „ლოკომოტივში“ თამაშობდნენ, მაგრამ „ლოკომოტივი“, მოგეხსენებათ, ფაქტობრივად დაიშალა.

**ლუკა თალაკვაძე**

# რეიტინგი და ქართველები

**უეფამ** გამოაქვეყნა ახალი საკლუბო რეიტინგი, რომელშიც თბილისის „დინამო“ 222-ე ადგილზეა.

თბილისელებმა წლევანდელ ევროთასებზე თავი ვერ გამოიჩინეს — ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან გავარდნენ (დანიურ „ბრონდბიუსთან“) და ოდენ 0,22 ქულა შეიმატეს.

ახლა „დინამოს“ აქვს 4,09 ქულა, რაც ბოლო ხუთ სეზონში ნაჩვენები შედეგებით დაჯამდა.

საინტერესოა, რომ ამ ბოლო ხუთი სეზონიდან დინამოელებს ყველაზე უვარგისი მაჩვენებელი 2003-04 წლებში ჰქონდათ — მაშინ 0,11 ქულაღა აიღეს.

აქვე შემოთავაზებულ ცხრილში საუკეთესო ათეულის გარდა „დინამოს“ წინ მყოფ ქართველ ლეგიონერთა გუნდების შედეგებსაც გაეცნობით.

**ლუკა თალაკვაძე**

| | | |
|---|---|---|
| 1 | მილანი (იტალია) | 118,32 |
| 2 | რეალი (ესპანეთი) | 116,89 |
| 3 | ბარსელონა (ესპანეთი) | 110,89 |
| 4 | ლივერპული (ინგლისი) | 104,63 |
| 5 | ინტერი (იტალია) | 104,32 |
| 6 | იუვენტუსი (იტალია) | 101,32 |
| 7 | მანჩესტერი (ინგლისი) | 99,63 |
| 8 | ვალენსია (ესპანეთი) | 92,89 |
| 9 | არსენალი (ინგლისი) | 88,63 |
| 10 | პორტუ (პორტუგალია) | 87,20 |
| 31 | შალკე (გერმანია) | 51,89 |
| 38 | ალკმაარი (ჰოლანდია) | 44,15 |
| 47 | ლოკომოტივი (რუსეთი) | 40,76 |
| 99 | ბლექბერნი (ინგლისი) | 22,63 |
| 106 | ფრაიბურგი (გერმანია) | 20,89 |
| 118 | ტვენტე (ჰოლანდია) | 19,15 |
| 152 | შტურმი (ავსტრია) | 12,72 |
| 182 | მ. ზაპოროჟიე (უკრაინა) | 9,70 |
| 214 | ანართოსისი (კვიპროსი) | 5,36 |
| 222 | დინამო (საქართველო) | 4,09 |

თბილისის დინამო 80 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დინამო იყო...

„დინამომ“ თასების თასი რომ აიღო, 8 წლის გახლდით და იმ სეზონიდან რამდენიმე რამ ჩამრჩა გონებაში: პირველად სტადიონზე „ვესტ ჰემთან“ მატჩისას ვიყავი; „ფეიენოორდთან“ როტერდამული მატჩის პირველ ტაიმს ვუყურე და მეორეს დაწყების წინ... ჩამეძინა; ფინალის წინ კი რეზინის ქაცვებიანი ბუცები ჩავიცვი და ისე მივუჯექი ტელევიზორს.

ის ამბავი კი, რომლის მოყოლაც მინდა, მოგვიანებით მოხდა, მეოთხე კლასში ვიყავი, ანუ 1982 თუ 83 წელს.

სოლოლაკში ვსწავლობდი, მე-3 ექსპერიმენტულში. დილით სკოლაში ჩვეულებრივად მივედი. რამდენიმე წუთში ზარიც დაირეკებოდა და ამ დროს ვიღაცამ ამბავი მოიტანა, კიროვის ქუჩაზე ხილ-ბოსტნეულის მაღაზიაში მანუჩარ მაჩაიძე ვაშლს ყიდულობსო.

რა ზარი, რის გაკვეთილი, დავირაზმეთ ბავშვები და თავქუდმოგლეჯილებმა ჩავირბინეთ კიროვის ქუჩაზე. უფრო ჭკვიანებმა რვეულიდან ამოხეული ფურცლები წამოიღეს და მანუჩარს შეაჩეჩეს ავტოგრაფისთვის. ნაკლებად ჭკვიანები კი უფრო ჭკვიანებს ვეხვეწებოდით, ეგებ ზედმეტი ფურცელი გქონდეთ-თქო. რომელი გიჟი დაგითმობდა.

პირველ გაკვეთილზე, რა თქმა უნდა, დავაგვიანეთ და, რა თქმა უნდა, არ გვინაღვლია...

–ესეც სკოლისდროინდელი მოგონებაა: ფიზკულტურის გაკვეთილის ბოლოს მერაბ მასწავლებელი გოგონებს გასახდელში უშვებდა, ბიჭებს კი ჩაგვამწკრივებდა და იწყებოდა:

ექვსი! დაიძახებდა მასწავლებელი. დარასელია! — იყვირებდა რომელიმე თანაკლასელი და შეეძლო გასახდელში წასულიყო.

ცხრა! — დაიძახებდა მასწავლებელი. გუცაევი! — კიდევ ვინმე მიიღებდა გასახდელში წასვლის უფლებას.

ორი, რვა, ოთხი, თერთმეტი — იძახდა მასწავლებელი და ერთხელაც არ მომხდარა, ვინმეს გვარი შეშლოდა. ის კი მუდმივად ხდებოდა, რომ ნომრის დასახელებისთანავე ნახევარი კლასი ერთდროულად დაიძახებდა იმ ნომრით მოთამაშე ფეხბურთელის გვარს და მერე მიდიოდა გარჩევა, არა მე ვთქვი პირველმა, არა მეო...

**ბოტე ძეძელია**

საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, თითქმის მუდმივად პრიზიორთა შორის ყოფნა, ორი საკავშირო თასი, უდიდესი „ლივერპულის“ ნაქცევა... ეს ყველაფერი 70-იანი წლების მეორე ნახევარში, პირველი ნახევარი კი არცთუ შთამბეჭდავი იყო „დინამოსთვის“. სერგო კუტივაძე 70-იან წლებში „დინამოშიც“ თამაშობდა და შემდეგ ნოდარ ახალკაცის თანაშემწეც გახლდათ — კუტივაძე დინამოური „ოქროს ხანის“ მონაწილეა და გასახსენებელიც იმდენი აქვს...



# სად წაიღო ლივერპულმა ხუთი თითი

— „დინამოში“ 1967 წელს მივედი, იმ დროს ჯერ კიდევ თამაშობდნენ მესხი, მეტრეველი, იამანიძე, ბარქაია... მაგრამ „დიდი თაობა“ უკვე მიდიოდა. გარდამავალი პერიოდი იდგა, ძველებს ძველებურად თამაში აღარ შეეძლოთ, ახალგაზრდები კი ჯერ ვერ ამბობდნენ თავიან სიტყვას. მერე წამოვიდა ახალი პლეადა: ჭელიძის, კანთელაძის, ძოძუაშვილის, ძმები ნოდიების, ასათიანის სახით. იმ პერიოდში „დინამო“ სამჯერ გავიდა მესამე ადგილზე.

— 1970 წელს თასის ფინალში მოსკოვის „დინამოს“ ვხვდებოდით და მასზე უკეთესი გუნდიც გვყავდა. ჩვენმა მარცხენა მცველმა გურამ ცხოვრებოვმა მატჩის წინა დღეს კუნთი გაიწყვიტა, მაგრამ მწვრთნელებს დაუმალა, ისე უნდოდა თამაში. გურამის ფრთიდან მოსკოველმა ეშტრეკოვმა აგვიკლო, პირველ 20 წუთში წავაგეთ თამაში და დავიშალეთ. ცხოვრებოვის ნაცვლად შოთა ხინჩაგაშვილი გამოვიდა, მან ლევ იაშინს გოლი გაუტანა და მას შემდეგ „დინამოში“ ჩაჯდა და ჩაჯდა.

— 1973 წლამდე კარგი გუნდი გვყავდა, მერე იყო ორწლიანი ჩავარდნა. გივი ჩოხელის ნაცვლად მწვრთნელად მიხაილ იაკუშინი მოვიდა, 1976 წელს კი ნოდარ ახალკაცმა ჩაიბარა „დინამო“. გუნდის უფროსი იმხანად კახი ასათიანი იყო. ბატონი ნოდარი გენიალური ორგანიზატორი იყო, მან შექმნა ისეთი სისტემა, რომ მთელი საქართველოს მთავრობა ჩაება საქმეში. ცეკას ბიუროს წევრები კვირაში ორჯერ მოდიოდნენ ბაზაზე, ბინა და მანქანა პრობლემა არ იყო... ჯუმბერ პატიაშვილი, გურამ ენუქიძე, ედუარდ შევარდნაძე არცთუ იშვიათი სტუმრები იყვნენ კლუბის, შინაგან საქმეთა მინისტრ შოთა გორგოძეზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მაშინ აშენდა თანამედროვე ბაზა, ფეხბურთელები სულ კონტროლის ქვეშ იყვნენ, რეჟიმის დარღვევა არ არსებობდა — ყოველ შემთხვევაში, წამალს არ იჩხირავდნენ და თამაშის შემდეგ თუ ცოტას დალევდნენ, ეს არაფერი...

— „დინამოს“ მაშინდელი აღმავლობა სწორედ ახალკაცისეული სისტემის შექმნით დაიწყო. კარგ მწვრთნელს კარგი ფეხბურთელებიც სჭირდება, ერთი-მეორის გარეშე ძლიერი გუნდი ვერ ჩამოყალიბდება. თანაც, „დინამოში“ იმ დროს თითქმის ერთი ასაკის ფეხბურთელები შეიკრიბნენ, ნიჭიერების მთელი თაობა წამოვიდა. შესაძლოა, თერთმეტივე ვარსკვლავი არ იყოს, მაგრამ როცა შვიდი-რვა ძლიერი მოთამაშე გყავს, დანარჩენებსაც გამოიყენებ.

— „დინამოში“ მსაჯების ნორმალურად მიღება-გასტუმრების სისტემაც იყო. არიქა, „დინამოს“ მსაჯები სდევნიდნენ და აზრჩობდნენო, ასეთი რამ არ ყოფილა. ძლიერები რომ არ ვყოფილიყავით, შეგვჭამდნენ, მაგრამ ძლიერები ვიყავით. ერთი სიტყვით, მონებად არ ვთვლიდით თავს, ჩვენც რამდენჯერმე დაგვეხმარებიან მსაჯები.

— გუნდში კონფლიქტები წარმოუდგენელი იყო, უსიტყვოდ ვუგებდით ერთმანეთს. ყველაზე მძიმე პერიოდი მანუჩარ მაჩაიძის „დინამოდან“ გაშვება იყო. მანამდე, ხუთი წელი, მანუჩარი „დინამოს“ სული და გული, ლიდერი და ნაღდი სპორტსმენი იყო, მაგრამ მერე ფეხბურთი შეიცვალა. მანუჩარი თანამედროვე მოთხოვნებს ვერ შეეგუა, თამაშის რიტმს ანელებდა. გუცაევსა და შენგელიას კი სწრაფი პასი სჭირდებოდათ. ერთი სიტყვით, დრომ მოიტანა დიდ ფეხბურთელზე უარის თქმა. მაჩაიძის გაშვება ახალკაცისთვის ყველაზე ძნელი გადაწყვეტილება იყო, მას სათადარიგო სკამზე ვერ დასვამდა. მანუჩარი ახლაც ნაწყენია — არ იყო მართალი, თითქოს გუნდმა მოითხოვა მისი წასვლა, თითქოს კაპიტნობა სხვას უნდოდა და ბოროტად გაწირეს.

— ახალკაცს გეგმაზომიერება უყვარდა. რა თქმა უნდა, ფიზიკურ დატვირთვას ვაქცევდით ყურადღებას, მაგრამ უბურთოდ ვარჯიშები არასოდეს გვქონია. ფეხბურთელებს ვარჯიშით ვკლავდითო, ასეთი რამ არ ყოფილა. ამ გეგმაზომიერებამ დაგვაყენა სწორ გზაზე — მიჰყვა და მიჰყვა ჯერ თასი, მერე მეორე ადგილი, ჩემპიონობა, ისევ მეორე ადგილი და თასიც, ბოლოს კი 1981 წლის 13 მაისი...

— „ლივერპულთან“ უდავოდ საუკეთესო მატჩი გვქონდა. ინგლისური ფეხბურთის უბედურება ის არის, რომ მათ ტაქტიკის შეცვლა არ უყვართ, მაგალითად ამასწინანდელ „ბენფიკა“ — „მანჩესტერს“ მოვიყვან, სადაც ინგლისელები 1:0-ს იგებდნენ და არც უცდიათ გადაწყობა. ახლაა ასე და მაშინ ხომ მთლად უარესად იყო საქმე. „ლივერპული“ სუსტი იყო დაცვაში, მათ ტანმაღალ მცველებს გუცაევისთანა სწრაფი მოთამაშეების შეჩერება უჭირდათ. „დინამოს“ ლივერპულშივე შეეძლო მოგება, მაგრამ ცოტა გამოუცდელობამ, ცოტაც მეტოქის სახელისადმი რიდმა ითამაშა თავისი როლი.

— თბილისში „ლივერპულთან“ თამაში უდიდესი სანახაობა იყო. გადაუღებლად წვიმდა, მაგრამ გულშემატკივარებს ამის შეეშინდებოდათ?! მეორე ტაიმში ახალკაცმა მითხრა, კარს უკან დადექი და იქიდან დაუყვირე ბიჭებსო. იმ ხმაურში ვინმეს გავაგონებდი? „ლივერპულის“ ლეგენდარულმა მწვრთნელმა ბობ პეისლიმ შემდეგ თქვა, თბილისში ვერც ამინდს გავუგე ვერაფერი და ვერც „დინამოს“ ფეხბურთელებსო... ჩვენ კი „ლივერპულის“ ქომაგებისა ვერ გავიგეთ, შინ ხუთ თითს რომ გვიჩვენებდნენ — ვერ მიიღეს 5:0...



— „ლივერპულის“ მერე „ჰამბურგი“ იყო, მაგრამ გერმანელები გაცილებით დისციპლინირებულნი და ტაქტიკურად ძლიერები არიან. ჩვენზე ძლიერი ფეხბურთელები ჰყავდათ, მარტო კიგანი რად ღირდა. „ჰამბურგი“ რომ გაგვეგდო, ჩემპიონთა თასს ავიღებდით? არა მგონია; „დინამო“ პირველად მონაწილეობდა ამ ტურნირში.

— „დინამო“ საბჭოეთის პატარა რესპუბლიკის გუნდი იყო. ევროპაში ისიც არ იცოდნენ, სად ვცხოვრობდით და, სხვათა შორის, ამ ფაქტორმაც განაპირობა ჩვენი ტრიუმფი 1981 წელს

— მაშინ ლამის მითები დადიოდა, ეს რა ზღაპრული პირობები აქვთ დინამოელებსო. არადა, უმაღლესი ხელფასი 250 მანეთი იყო, შემდეგ 200, 150, 100; დუბლების მოთამაშეებს კი 60-70 მანეთი ჰქონდათ. ზოგიერთნი და, მათ შორის, მეც, მერვე პოლკში ვიყავით გაფორმებულნი, სადაც 200 მანეთი გვემატებოდა.

იცით, ეტყობა, აღზრდის ფაქტორია, რომ არც ერთ ფეხბურთელს ხელფასზე არ უტირია, დღეს კი სხვანაირადაა, სამწუხაროდ...

# გლეიზერები არ იმჩნევენ ჰიდინკს კი ეძახიან



„მანჩესტერ იუნაიტედი“ შესაძლოა, გუს ჰიდინკმა გაწვრთნას

**გლეიზერების** ოჯახს განსაკუთრებული არაფერი გამოუმჟღავნებია „მანჩესტერის“ ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის გამო.

„ბენფიკასთან“ წაგებით „მანჩესტერმა“, როგორც მინიმუმ 15 მილიონი გირვანქა დაკარგა. ამის თაობაზე გლეიზერთა პრეს-მდივანმა თქვა: „ეს იმედის გამაცრუებელი შედეგი იყო, მაგრამ ოჯახი დიდი ხნითაა „მანჩესტერში“ და ასეთი მარცხი არაფერს ცვლის“.

პრეს-მდივანმავე განაცხადა, რომ ლიგიდან გავარდნა „მანჩესტერის“ ფინანსურ მდგომარეობაზე არ იმოქმედებს. გლეიზერებმა შემოთვალეს, რომ იციან, რა არის სპორტული გუნდის ყოლა, რახან ამერიკაში იქაური საბურთაო გუნდის, „ტამპა ბეი ბუკანიერზის“, პატრონები არიან და ამიტომ ალმასვლის და დაქვეითების ამბავზე არ ნერვიულობენ.

„მანჩესტერი“ მეორეა პრემიერლიგის ცხრილში, ამიტომ შოუ გრძელდება“— ასეთია კლუბის მეპატრონე ოჯახის შემონათვალი.

ამასობაში კი, გაზეთი „სანი“ ავრცელებს ცნობას, რომ „მანჩესტერის“ მომავალი მწვრთნელი ჰოლანდიელი გუს ჰიდინკი იქნება. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ალექს ფერგიუსონი ზაფხულში დატოვებს გუნდს და ამის მიზეზი სწორედ „ბენფიკასთან“ წაგებული მატჩი იქნება.

**ირაკლი გამყრელიძე**

*„ოქროს ბურთის“ მფლობელმა და მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშედ აღიარებულმა რონალდინიომ ინგლისურ ფეხბურთზე თავისი სიმპათიები არ დამალა და რამდენიმე საინტერესო განცხადება გააკეთა*

# რონის ინგლისი ჰყვარებია

**„ჩემი აზრით**, 2006 წლის მუნდიალს გამოკვეთილი ფავორიტი არ ჰყავს. რა თქმა უნდა, ჩვენ გერმანიაში ძალიან ძლიერი შემადგენლობით ჩავდივართ, მაგრამ იქ კიდევ მრავალი კარგი გუნდი იქნება. იმედია, არავის ეწყინება, თუ ვიტყვი, რომ, ჩემი აზრით, ინგლისის ნაკრები ფინალში ითამაშებს. ისინი, ფაქტობრივად, ყველა რგოლში ბრწყინვალე მოთამაშეებით არიან დაკომპლექტებულნი და ჩინებული მწვრთნელიც ჰყავთ. ამბობენ, ინგლისელებს ტექნიკა არ აქვთ და უხეშად თამაშობენო, ამას არ ვეთანხმები. განსაკუთრებით უეინ რუნი მომწონს, იგი ძალიან ნიჭიერია და ამას მსოფლიოს ჩემპიონატზეც დაამტკიცებს“ — თქვა ბრაზილიელმა.



AFP ბარსელონიდან

რონალდინიო

შეგახსენებთ, რომ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიდან ინგლისი სწორედ ბრაზილიასთან გამოვარდა და გამარჯვების გოლი, თანაც ბრწყინვალე, შორეული საჯარიმო დარტყმით რონალდინიომ გაიტანა.

ამის შემდეგ, „ბარსელონას“ ვარსკვლავი საკლუბო ფეხბურთზე გადაერთო და გასული სეზონის ჩემპიონთა ლიგაში „ჩელსისთან“ მარცხიც გაიხსენა: „ბევრის აზრით, „ჩელსისთან“ მარცხის შემდეგ ამ კლუბისა და ჟოზე მაურინიუსადმი ზიზღი გამიჩნდა, მაგრამ ეს ტყუილია. ლონდონური გუნდი მომწონს და ძლიერ კლუბებთან თამაში ყოველთვის სასიამოვნოა. იმედია, მათ ახლაც შევხვდებით. საერთოდ, სერია A, პრიმერადივიზიონი და პრემიერლიგა უძლიერესი ჩემპიონატებია, მაგრამ ინგლისში თამაში ნებისმიერ ფეხბურთელს სურს, რასაც სხვა ლიგებზე ვერ ვიტყვით“.

**კოკი კანდელაკი**

# მაკლიში ევროპამ იხსნა

**„გლაზგო რეინჯერსის“** შეფმა დევიდ მიურეიმ ალექს მაკლიში დატოვა, რაც გუნდის ფანებისთვის მოულოდნელი იყო. „ჩაფრების“ ქომაგები ვარაუდობდნენ, რომ მაკლიშს მოხსნიდნენ, მაგრამ „ზემოთ“ სხვაგვარად გადაწყვიტეს. ამის მიზეზი კი ჩემპიონთა თასის მერვედფინალში გასვლაა, მიურეიმ ვითარება სათანადოდ შეაფასა. „რეინჯერსი“ პირველი შოტლანდიური გუნდია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ჯგუფიდან გაღწევა მოახერხა. ამით „რეინჯერსის“ სალარო 5 მილიონი ევროთი შეივსო და ალექს მაკლიშის კოზირიც ეს გახლავთ.

ეროვნულ ჩემპიონატში „ჩაფრები“ „სელტიკს“ 17 ქულით ჩამორჩებიან და უკვე ზედიზედ ათი მატჩია, შინ თუ ევროპაში არ მოუგიათ. ამ ფაქტს დევიდ მიურეიმ წაუყრუა და თქვა, რომ იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას გუნდის გასაძლიერებლად რამდენიმე ფეხბურთელს დაიმატებს.



ალექს მაკლიში ისევ „რეინჯერსის“ მწვრთნელია

**ვაჟა ხუციშვილი**

# გიმარაეშში პაშეკუს გარეშე დარჩა

**პორტუგალიური** „გიმარაეშის“ მწვრთნელი ჟაიმე პაშეკუ უმუშევარია. მის ხელქვეით გუნდი ბოლო 13 მატჩში 9-ჯერ დამარცხდა და გათავისუფლების მიზეზიც ესაა.

პორტუგალიელთა ერთადერთი წარმომადგენელი უეფას თასზე ჯგუფურ ეტაპს ვერ გასცდა, ჩემპიონატში კი ათი ქულით ბოლოსწინა ადგილზეა.

47 წლის ჟაიმე პაშეკუს, რომელსაც „ბოავიშტასა“ და „მალიორკაში“ უმუშავია, შინ „ლეირიასთან“ 0:3 წაგება აღარ აპატიეს. კლუბის პატრონმაც ვიტორ მაგალიეშმა იგი სამსახურიდან დაითხოვა. ჯერჯერობით უცნობია, ვის ჩააბარებენ „გიმარაეშს“.



ჟაიმე პაშეკუ

**ვაჟა ხუციშვილი**

# მეიერი დუისბურგიდან აიბარგა



ნორბერტ მეიერს (მარცხნივ) ინციდენტი არ აპატიეს

**გერმანული** „დუისბურგის“ მწვრთნელი ნორბერტ მეიერი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მისი თანაშემწე ჰაიკო შოლცი კი გუნდს დროებით უთავკაცებს.

მეიერი „დუისბურგი“ — „კიოლნის“ მატჩში მომხდარ ჩხუბს შეეწირა — მწვრთნელი კიოლნელ ალბერტ შტრაიტს ხელდახელ შეება და მსაჯმა ორივე გააძევა. გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომიტეტი ამ ფაქტს იძიებს და „დუისბურგის“ ექსთავკაცს ეგებ მწვრთნელობა რამდენიმე თვითაც აეკრძალოს.

„ძალიან რთულ ვითარებაში აღმოვჩნდით, მაგრამ იძულებულნი გავხდით, გაგვეთავისუფლებინა — განაცხადა კლუბის წარმომადგენელმა ვალტერ ჰელმიხმა — მან დიდი შრომა გასწია საიმისოდ, რათა გუნდი ბუნდესლიგაში დაებრუნებინა. ნორბერტ მეიერი პიროვნულად კარგი კაცია, თუმც სხვა გზა არ გვქონდა, ასეთი ამბის შემდეგ ვეღარ დავტოვებდით“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ესპანიოლი გაწეწეს

**უეფაში** „ბრონდბიუ“ — „ესპანიოლის“ მატჩი გაარჩიეს, რომელიც წინა კვირაში გაიმართა. თამაშის 69-ე წუთზე ფრედსონი მეტოქესთან უხეშობისთვის გააძევეს. „ესპანიოლის“ მწვრთნელი მიგელ ანხელ ლოტინა მოედანზე შევარდა, თავის ფეხბურთელს გამოექომაგა და მსაჯს ეჩხუბა. არბიტრმა მწვრთნელიც გააგდო, რომელმაც გასვლისას მეოთხე მსაჯიც გალანძღა.

მოგვიანებით „ბრონდბიუს“ მცველმა იოჰანესენმაც წითელი ბარათი იხილა და ისიც გასახდელში მიაბრძანეს. „ესპანიოლის“ ფეხბურთელებმა რვა ყვითელი და ერთი წითელი ბარათი „მოაგროვეს“, რის გამოც უეფამ კლუბი სამი ათასი ევროთი დასაჯა.

მიგელ ანხელ ლოტინას ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს და 5 ათასი ევრო ააფციქნეს, ხოლო ფრედსონი ორ მატჩს გამოტოვებს, ისევე, როგორც დანიელი იოჰანესენი.

„ესპანიოლი“ უეფას თასზე ბოლო შეხვედრას 15 დეკემბერს სტუმრად ხაიფას „მაკაბისთან“ გამართავს, ხოლო „ბრონდბიუ“ „პალერმოს“ ეწვევა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| XV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| სიენა | : | ემპოლი |
| ფიორენტინა | : | ტრევიზო |
| **ხვალ** | | |
| ასკოლი | : | რეჯინა |
| იუვენტუსი | : | კალიარი |
| ლივორნო | : | ლაციო |
| მესინა | : | კიევო |
| პარმა | : | სამპდორია |
| რომა | : | პალერმო |
| უდინეზე | : | ლეჩე |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 14 | 13 | 0 | 1 | 31:8 | 39 |
| მილანი | 14 | 10 | 1 | 3 | 30:15 | 31 |
| ინტერი | 14 | 9 | 2 | 3 | 25:11 | 29 |
| ფიორენტინა | 14 | 9 | 2 | 3 | 29:16 | 29 |
| კიევო | 14 | 6 | 6 | 2 | 18:13 | 24 |
| სამპდორია | 14 | 7 | 2 | 5 | 25:19 | 23 |
| ლაციო | 14 | 6 | 4 | 4 | 19:19 | 22 |
| ლივორნო | 14 | 6 | 4 | 4 | 13:15 | 22 |
| რომა | 14 | 5 | 5 | 4 | 21:17 | 20 |
| უდინეზე | 14 | 6 | 2 | 6 | 15:19 | 20 |
| პალერმო | 14 | 4 | 7 | 3 | 22:21 | 19 |
| ემპოლი | 14 | 5 | 2 | 7 | 17:22 | 17 |
| რეჯინა | 14 | 5 | 1 | 8 | 15:20 | 16 |
| სიენა | 14 | 4 | 3 | 7 | 20:26 | 15 |
| ასკოლი | 14 | 2 | 7 | 5 | 13:17 | 13 |
| პარმა | 14 | 3 | 3 | 8 | 14:23 | 12 |
| მესინა | 14 | 1 | 6 | 7 | 11:20 | 9 |
| კალიარი | 14 | 1 | 6 | 7 | 12:22 | 9 |
| ტრევიზო | 14 | 1 | 5 | 8 | 8:21 | 8 |
| ლეჩე | 14 | 2 | 2 | 10 | 11:25 | 8 |

# იტალია

*პაპუნა კედია*

## ინტერი — მილანი

ხვალ. მილანი. „სან სირო". 23:30 საათი

ჟულიო სეზარი, ხ. ძანეტი, კორდობა, მიხაილოვიჩი, ფავალი, ფიგუ, კამბიასო, ვერონი, სტანკოვიჩი, ადრიანო, მარტინსი

დიდა, შიმიჩი, ნესტა, სტამი, სერჟინიო, გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, ჯილარდინო

მსაჯი: დომენიკო მესინა

# მილანური დერბის სხვათა ფრე



ბოლო „ინტერი" — „მილანი" სკანდალით დასრულდა

**ცხადია,** ჩემპიონატის დამთავრებამდე ჯერ დიდი დროა, მაგრამ დახედეთ ერთ წუთს ცხრილს: ძალიან შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ხვალ „სან სიროზე", „ინტერისა" და „მილანის" შეხვედრაში შესაძლოა, გაირკვეს თუ ვინ იქნება „იუვენტუსის" მთავარი კონკურენტი სკუდეტოსთვის ბრძოლაში?

თან, ერთი წუთით კალენდარსაც დახედეთ იმ ადგილზე, სადაც „იუვენტუსის" მეტოქე წერია — „ბებერი ქალბატონი" „კალიარის" ხვდება, ანუ ძალები არათანაბარია და, თუ სასწაული არ მოხდა, ტურინელები გაიმარჯვებენ. ამგვარად, როგორც „ინტერისთვის", ასევე „მილანისთვის" ნათელია, რომ მათ შეხვედრაში კარგი შედეგი მხოლოდ გამარჯვებაა.

ფავორიტად „მილანი" ითვლება და მიზეზი ცხადზე უცხადესია: ბოლო წლებში კარლო ანჩელოტის გუნდს „ინტერთან" აშკარა უპირატესობა აქვს. წინა სეზონში ხომ „შავ-წითელთა" უპირატესობა „შავ-ლურჯებთან" შედარებით, აშკარაზე აშკარა გახლდათ: მილანური გუნდები ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, ორჯერ ჩემპიონატში და ორჯერაც ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში და ამ ოთხი ჯერიდან სამი „მილანმა" მოიგო, ერთი კი ფრედ დასრულდა. მერედა, ფრე იყო სერია **A**-ს პირველ წრეში, სამი მოგება კი მიჯრით, ხომ იცით, ბედს ხუმრობა, რომ სჩვევია და გუნდებს, ზედიზედ რომ მიუშვებს ხოლმე ერთმანეთთან ურთიერთობის გასარკვევად.

თუმცა, „ინტერის" ქომაგები საკითხს მეორე მხრიდან უყურებენ. კერძოდ, ისინი მიიჩნევენ, რომ დროა ნავსი გატყდეს და „შავ-ლურჯებმა" გაიმარჯვონ. მათ სურვილს და იმედს, ალბათ, „მილანის" ბოლოდროინდელი არასტაბილურობაც აღვივებს. გასულ ერთ კვირაში, ანჩელოტის ქვეშევრდომებმა „კიევოსთან" წააგეს 1:2 და შემდეგ, ჩემპიონთა ლიგაში გერმანულ „შალკესთან" ნერვიულად მოიგეს 3:2.

მაგრამ „მილანის" ბრაზილიელი ვარსკვლავი კაკა არანაირ დათმობას არ აპირებს და მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობს:

„არ ვიცი, რა გეგმა დასახა და რა წარმოიდგინა ამ მატჩის წინ „ინტერმა", მაგრამ ჩვენ, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში გამარჯვების შემდეგ, საუცხოო გუნება-განწყობაზე ვართ. „შავ-ლურჯებთან" ჩვეულებრივი დერბი გვექნება, ორივე მხრივ დიდი ემოციითა და გამარჯვების სურვილით დატვირთული. ჩემი მხრივ, ერთი რამ ვიცი დანამდვილებით, „ინტერის" კარში სამი გოლი გამიტანია და ბუნებრივია, ამ შეხვედრაში მეოთხეს გატანას ვაპირებ".

და მაინც, „მილანს" აქვს საწუხარი — დაცვა. უბერებელი კაპიტანი პაოლო მალდინი „შალკესთან" შეხვედრაში დაშავდა, ალესანდრო ნესტას კი გრიპი ჰქონდა და ჯერ ბოლომდე არ განელებია.

რაც შეეხება, „ინტერის" მწვრთნელის, რობერტო მანჩინის საწუხარს, ის თავდასხმას ეხება: ვინ უნდა ითამაშოს ადრიანოსთან წყვილში? ურუგვაელი ალვარო რეკობა წინა ტურში დაშავდა, ნიგერიელი ობაფემი მარტინსი კი ცუდ ფორმაშია. თუ მანჩინი ამ ორიდან ვერც ერთს ვერ გაიყვანს მოედანზე, მაშინ ადრიანო შეტევაში მარტო იქნება ლუიშ ფიგუთი, ხუან სებასტიან ვერონითა და დეიან სტანკოვიჩით გაძლიერებული.

ბოლოს კი გავიმეოროთ ამ მატჩის სატურნირო მნიშვნელობის ამბავი — მილანურ დერბიში ფრე „იუვენტუსისაა"... თუმცა, ერთხელაც თუ დავხედავთ ცხრილს, „ფიორენტინასიც" კია: თუ ფლორენციელები დღეს „ტრევიზოს" მოუგებენ, „შავ-წითლებს" გაუტოლდებიან.

| XVI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ლივერპული | : | მიდლსბრო |
| ბირმინგემი | : | ფულემი |
| ბლექბერნი | : | ვესტ ჰემი |
| ბოლტონი | : | ასტონ ვილა |
| ჩარლტონი | : | სანდერლენდი |
| ჩელსი | : | უიგანი |
| ნიუკასლი | : | არსენალი |
| ვესტ ბრომვიჩი | : | სიტი |
| **ხვალ** | | |
| მანჩესტერი | : | ევერტონი |
| **ზეგ** | | |
| ტოტენჰემი | : | პორტსმუთი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 15 | 13 | 1 | 1 | 34:7 | 40 |
| მანჩესტერი | 14 | 9 | 3 | 2 | 24:13 | 30 |
| ლივერპული | 14 | 8 | 4 | 2 | 18:8 | 28 |
| ტოტენჰემი | 15 | 7 | 6 | 2 | 19:12 | 27 |
| არსენალი | 14 | 8 | 2 | 4 | 22:12 | 26 |
| ბოლტონი | 14 | 8 | 2 | 4 | 17:13 | 26 |
| უიგანი | 14 | 8 | 1 | 5 | 16:13 | 25 |
| სიტი | 15 | 7 | 3 | 5 | 19:13 | 24 |
| ვესტ ჰემი | 14 | 6 | 4 | 4 | 18:13 | 22 |
| მიდლსბრო | 15 | 5 | 4 | 6 | 20:21 | 19 |
| ნიუკასლი | 15 | 5 | 4 | 6 | 13:15 | 19 |
| ჩარლტონი | 14 | 6 | 1 | 7 | 19:23 | 19 |
| ბლექბერნი | 15 | 5 | 3 | 7 | 15:20 | 18 |
| ფულემი | 15 | 4 | 4 | 7 | 16:20 | 16 |
| ასტონ ვილა | 15 | 4 | 4 | 7 | 15:23 | 16 |
| ევერტონი | 14 | 5 | 1 | 8 | 7:16 | 16 |
| ვესტ ბრომვიჩი | 15 | 3 | 4 | 8 | 15:24 | 13 |
| პორტსმუთი | 15 | 2 | 4 | 9 | 11:23 | 10 |
| ბირმინგემი | 14 | 2 | 3 | 9 | 9:19 | 9 |
| სანდერლენდი | 16 | 1 | 2 | 13 | 14:33 | 5 |

# ინგლისი

*კოკი კანდელაკი*

# იუბილარები ოლდ ტრეფორდზე

**ტურის** ცენტრალური მატჩი ულაპარაკოდ „ოლდ ტრეფორდზეა", ევროსარბიელიდან ბოლო წლებში პირველად ზაფხულშივე გავარდნილი „მანჩესტერ იუნაიტედი" თავის ერთ-ერთ პრინციპულ მეტოქეს, „ევერტონს" მასპინძლობს. ახლა ორივე კლუბს რთული პერიოდი უდგას და ქულებზე არიან დაგეშილნი. თუ „წითელმა ეშმაკებმა" ეს თამაშიც ვერ მოიგეს, სერ ალექს ფერგიუსონს კრიტიკის მორიგი ქარცეცხლი დაატყდება თავს და ვინ იცის, ეგებ მის გუნდიდან გაშვებაზეც სერიოზულად იმსჯელონ.

„მანჩესტერს" დისკვალიფიცირებული რუუდ ვან ნისტელროი არ ეყოლება. სამაგიეროდ, მინდორზე გავა უეინ რუნი, რომელიც სწორედ „ევერტონიდან" არის ნაყიდი და ამ მატჩს მისთვის ორმაგი მნიშვნელობა აქვს. ლივერპულელებს ორი წამყვანი მოთამაშე, ტიმ ჩეჰილი და მიკელ არტეტა ჰყავთ დისკვალიფიცირებული. ყოფილ მანჩესტერელ ფილ ნევილს კი მცირე ტრავმა აწუხებდა, მაგრამ სავარაუდოდ, ყოფილი კლუბისა და თავისი ძმის წინააღმდეგ ითამაშებს.

საინტერესოა, რომ ამ მატჩს ევერტონელი ფეხბურთელების იუბილეები ემთხვევა, კერძოდ, თუ კევინ კილბეინი ითამაშებს, ეს მისი 350-ე მატჩი იქნება პრემიერლიგაში. საიმონ დევისისთვის — მე-200, ხოლო ალესანდრო პისტონესთვის — 150-ე. მარკუს ბენტი კი ორმოცდამეათედ მოირგებს ლურჯ მაისურას.

ლონდონის „არსენალი" „სენტ ჯეიმს პარკს" სტუმრობს. ცხადია, არცთუ კარგ ფორმაში მყოფ „მეთოფეებს" მძიმე ბრძოლა ელით. თანაც „ნიუკასლს" ტრავმირებული მაიკლ ოუენი უბრუნდება, თუმც „ჯორდების" დანაკლისი მაინც დიდია — ემრე, კრეიგ მური, სტივენ კარი და ჩარლზ ნზოგბია ტრავმირებულნი არიან, ხოლო სელესტინ ბაბაიარო — დისკვალიფიცირებული.

დედაქალაქური დერბი შედგება „სტემფორდ ბრიჯზე". ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი „ჩელსი" კერკეტ კაკალ „უიგანს" მიიღებს. ჟოზე მაურინიუს შეტევაში ფეხმტკივანი დიდიე დროგბას დაყენება მოუწევს, რადგანაც ერნან კრესპო ტრავმირებულია. შესაძლოა, ითამაშოს ახლადმომჯობინებულმა ჯო კოულმაც. კრესპოს გარდა „ჩელსის" ლაზარეთში კლოდ მაკელელე და გლენ ჯონსონი არიან. „უიგანს" კი კაპიტანი არიან დე ზეუვი არ ეყოლება.

„პირველ წრეში „უიგანთან" გაგვიმართლა, თანაც ერთადერთი გოლი ბოლო წუთზე შევაგდეთ. „უიგანი" მშვენიერ სეზონს ატარებს, მაგრამ ამჯერად კიდევ ერთხელ მოუწევს წაგება" — თქვა „ჩელსის" შემტევმა ნახევარმცველმა არიენ რობენმა.

კიდევ ერთ დედაქალაქურ დერბიში მეოთხეადგილოსანი „ტოტენჰემი" აუტსაიდერის, „პორტსმუთის" წაქცევას შეეცდება. ლონდონელთა ფორვარდი ჯერმენ დეფო ბოლომდე მოკეთდა, მაგრამ ალბათ მაინც სათადარიგოთა სკამზე იჯდება, რადგანაც მარტინ იოლი უფრო რობი კინსა და აჰმედ ჰოსამ მიდოს ენდობა. „პორტსმუთის" თავკაცის პოსტზე დაბრუნებული ჰარი ჰედნაპი „უაით ჰართ ლეინიდან" სულ ცოტა, ქულის წაღებას ეცდება.

ბოლოს ფორმაში შესული „ლივერპულიც" ვახსენოთ: მერსისაიდელები ამჯერად „მიდლსბროს" მშრალზე დატოვებას და ცხრილში უფრო წინ წაწევას გეგმავენ. რაფაელ ბენიტესს თავისი კლუბის სჯერა და ამბობს, მოვიგებთო.



არიენ რობენი „უიგანს" ემუქრება

| XVI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ნიურნბერგი | : | ლევერკუზენი |
| ჰანოვერი | : | გლადბახი |
| აინტრახტი | : | დორტმუნდი |
| ვოლფსბურგი | : | შტუტგარტი |
| შალკე | : | მაინცი |
| დუისბურგი | : | არმინია |
| ჰამბურგი | : | ჰერტა |
| **ხვალ** | | |
| ბაიერნი | : | ლაუტერნი |
| კიოლნი | : | ვერდერი |

| საღლეისო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 15 | 12 | 2 | 1 | 31:10 | 38 |
| ჰამბურგი | 15 | 10 | 4 | 1 | 25:7 | 34 |
| ვერდერი | 15 | 10 | 2 | 3 | 41:19 | 32 |
| შალკე | 15 | 7 | 7 | 1 | 19:10 | 28 |
| ჰერტა | 15 | 7 | 4 | 4 | 25:21 | 25 |
| დორტმუნდი | 15 | 5 | 6 | 4 | 22:20 | 21 |
| გლადბახი | 15 | 5 | 6 | 4 | 19:17 | 21 |
| ჰანოვერი | 15 | 4 | 7 | 4 | 25:22 | 19 |
| შტუტგარტი | 15 | 3 | 10 | 2 | 18:17 | 19 |
| ვოლფსბურგი | 15 | 4 | 6 | 5 | 15:25 | 18 |
| ლევერკუზენი | 15 | 4 | 5 | 6 | 23:25 | 17 |
| არმინია | 15 | 4 | 4 | 7 | 17:22 | 16 |
| მაინცი | 15 | 4 | 3 | 8 | 23:24 | 15 |
| აინტრახტი | 14 | 4 | 3 | 7 | 17:22 | 15 |
| კიოლნი | 15 | 3 | 3 | 9 | 21:32 | 12 |
| ნიურნბერგი | 15 | 3 | 3 | 9 | 16:28 | 12 |
| დუისბურგი | 15 | 2 | 4 | 9 | 13:29 | 10 |
| ლაუტერნი | 14 | 2 | 3 | 9 | 18:38 | 9 |

## გერმანია

ვაჟა ხუციშვილი

# ბრემენს უყვარს შააფი


რაფაელ ვან დერ ვაარტი დაშავებულია

**„ჰამბურგს“** შანსი აქვს, მიუნხენის „ბაიერნთან“ სხვაობა ერთი დღით მაინც შეამციროს ქულამდე, რადგან ლიდერი „კაიზერსლაუტერნს“ ხვალ ხვდება. „ჰამბურგი“, რომელსაც რაფაელ ვან დერ ვაარტი დაუშავდა, „ჰერტას“ მასპინძლობს. ბერლინელები ბუნდესლიგასა თუ უეფას თასზე, ბოლო ათ მატჩში მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ. თავის მხრივ, თომას დოლის გუნდს მიჯრით ექვსი თამაში არ წაუგია.

ვან დერ ვაარტის გამოკეთებას ორი თვე დასჭირდება, მის ადგილს კი პიოტრ ტროხოვსკი დაიკავებს. ჰოლანდიელის გარდა ტრავმირებულნი არიან რაფაელ ვიკი და ხალიდ ბულარუზი, ხოლო დავიდ იაროლიმი „ჰერტასთან“ შეხვედრას ხუთი ყვითელი ბარათის გამო გამოტოვებს. სტუმრებს ძირითადი შემადგენლობის ყველა ფეხბურთელი ჯანზე ჰყავთ.

„კიოლნი“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალისტ „ვერდერს“ დაუხვდება, რომლის მწვრთნელსაც ამაგი დაუფასეს და „პანათინაიკოსის“ გაცამტვერების შემდეგ კონტრაქტი 2008 წლის ივნისამდე გაუხანგრძლივეს. ბრემენელ „მუსიკოსებს“ მიროსლავ კლოზე დაუბრუნდათ და ბერძნებთან ერთი გოლიც მიითვალა. იგი დღესაც ძირითად შემადგენლობაში იქნება ნელსონ ვალდესთან ერთად. მესამე ფორვარდ ივან კლასნიჩის მკურნალობაც დასრულდა და ხორვატს სათადარიგოებში დასვამენ.

კიოლნელთა მეგოლე ლუკაშ პოდოლსკი დისკვალიფიცირებულია. ისევე როგორც ალბერტ შტრაიცი, პეტერ მადსენი კი ტრავმირებულია. „ვერდერი“ აშკარად კარგ ფორმაშია და „თხების“ ძლევა არ უნდა გაუჭირდეს.

გელზენკირხენის „შალკესთვის ჩემპიონთა თასი დასრულდა, „ხუმარები“ ევროპას თებერვალში, უეფას თასზე დაუბრუნდებიან, მანამდე კი პირველი წრის ბოლომდე სამი მატჩი დარჩათ და შეეცდებიან, ცხრა ქულა მიითვალონ, რათა საჩემპიონო ბრძოლას არ გამოეთიშონ. რალფ რანგნიკი „მილანთან“ ნათამაშებ შემადგენლობას „მაინცთან“ ალბათ არ შეცვლის. ლინკოლნის წინ სამი შემტევი განლაგდება: კობიაშვილი, კურანი და ალტინტოპი. მაინცელებმა გასულ ტურში „ვოლფსბურგს“ ხუთი გაუტანეს, მაგრამ საეჭვოა, რომ „შალკესთანაც“ გაილაღონ.

ფრანკფურტში „აინტრახტი“ დორტმუნდის „ბორუსიას“ უმასპინძლებს, რომელსაც კვლავ არ ეყოლება იან კოლერი, ლარს რიკენი და დედე. „აინტრახტი“ ორი კვირის დასვენებულია, რადგან წინა ტურში „კაიზერსლაუტერნთან“ მატჩი გადაედო.

სტუმრად თამაშწაუგებელი „შტუტგარტი“ „ვოლფსბურგს“ ეწვევა, „მგლებმა“ ბოლოხანს ძალიან აურიეს, განსაკუთრებით დაცვა მოუსუსტდათ და არც შეტევაში ბრწყინავენ. ლევან ცქიტიშვილი დისკვალიფიცირებულია. „შტუტგარტს“ შემადგენლობაში პრობლემა არა აქვს. დანიელ ლიუბოია და იონ დალ ტომასონი შეეცდებიან „ვოლფსბურგის“ მისავათებული დაცვა გაამწარონ.

ზედიზედ ორი მატჩის მომგებმა „ჰანოვერმა“ მერვე ადგილს უწია და დღეს მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ დაუხვდება, რომელმაც კარგად დაიწყო ჩემპიონატი, მაგრამ შემოდგომის მიწურულს აშკარად უკლო. ჰანოვერელთა მწვრთნელ პეტერ ნოირურერს ნახევარმცველი ირჟი შტაინერი აუჯანყდა. სათადარიგოებში რატომ დამსვიო. ლეგიონერს უთქვამს, დელურაზე უკეთესი ვარ და ძირითად შემადგენლობაში მე უნდა ვითამაშოო, რის გამოც კლუბმა შტაინერი დააჯარიმა.

მიჯრით ორ საშინაო შეხვედრაში დამარცხებული ლევერკუზენის „ბაიერი“ „ნიურნბერგს“ ჩააკითხავს და დაკარგული ქულების დაბრუნებას ეცდება, ხოლო მიუნხენის „ბაიერნს“ „კაიზერსლაუტერნთან“ ნახევარი ძალითაც შეუძლია მოგება. „ლაუტერნს“ უგებს ყველა, ვისაც არ ეზარება და „ბაიერნი“ რატომლა დაიზარებს? დისკვალიფიცირებულ სებასტიან დაისლერს ალი ქარიმი შეცვლის, ჰასან სალიჰამიჯიჩი და როკე სანტა კრუზი კი კვლავაც ტრავმირებულნი არიან.

| XV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| სოსიედადი | : | ვილიარეალი |
| ვალენსია | : | ბილბაო |
| **ხვალ** | | |
| ბეტისი | : | ესპანიოლი |
| სარაგოსა | : | სელტა |
| დეპორტივო | : | კადისი |
| ბარსელონა | : | სევილია |
| ხეტაფე | : | რასინგი |
| მალაგა | : | რეალი |
| ატლეტიკო | : | ალავესი |
| ოსასუნა | : | მალიორკა |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 14 | 9 | 4 | 1 | 36:12 | 31 |
| ოსასუნა | 14 | 10 | 1 | 3 | 21:14 | 31 |
| სელტა | 14 | 8 | 2 | 4 | 18:15 | 26 |
| რეალი | 14 | 8 | 1 | 5 | 25:16 | 25 |
| ვალენსია | 14 | 7 | 4 | 3 | 21:16 | 25 |
| ვილიარეალი | 14 | 6 | 5 | 3 | 20:14 | 23 |
| დეპორტივო | 14 | 6 | 5 | 3 | 19:14 | 23 |
| სევილია | 14 | 6 | 5 | 3 | 13:8 | 23 |
| ხეტაფე | 14 | 6 | 3 | 5 | 20:19 | 21 |
| სოსიედადი | 14 | 5 | 3 | 6 | 21:28 | 18 |
| ატლეტიკო | 14 | 4 | 5 | 5 | 14:14 | 17 |
| მალაგა | 14 | 4 | 3 | 7 | 21:20 | 15 |
| მალიორკა | 14 | 4 | 3 | 7 | 14:22 | 15 |
| სარაგოსა | 14 | 2 | 8 | 4 | 14:18 | 14 |
| კადისი | 14 | 3 | 5 | 6 | 10:15 | 14 |
| ესპანიოლი | 14 | 3 | 4 | 7 | 11:18 | 13 |
| რასინგი | 14 | 2 | 6 | 6 | 9:17 | 12 |
| ბილბაო | 14 | 2 | 5 | 7 | 13:19 | 11 |
| ალავესი | 14 | 2 | 5 | 7 | 13:22 | 11 |
| ბეტისი | 14 | 2 | 5 | 7 | 10:22 | 11 |

## ესპანეთი

ლადო ხომერიკი

# რას იზამ, ხუან?



„რეალის“ ახალ მწვრთნელ ხუან რამოს ლოპეს კაროს ხვალ „მალაგა“ გამოსცდის



**პრიმერადივიზიონის** ლიდერი „ბარსელონა“ „კამპ ნოუზე“ ანდალუზიურ „სევილიას“ დაუხვდება. მასპინძლები დეკოს და ხავის მოისაკლისებენ — პირველი დისკვალიფიცირებულია, მეორეს კი ტრავმა აწუხებს.

მატჩს „ბარსას“ მწვრთნელი ფრანკ რაიკარდიც ოდენ ტელევიზორით ნახავს — ჰოლანდიელმა ჩემპიონთა ლიგის ბოლო მატჩი „უდინეზესთან“ გრიპის გამო „ჩააგდო“ და ახლაც შეუძლოდაა. ჰოდა, კატალონიელებს ისევ რაიკარდის თანაშემწე ჰენკ ტენ კატი დამოძღვრავს. ძირითადში იქნებიან სამუელ ეტოო და რონალდინიო, რომელთაც „უდინეზესთან“ არ უბურთავიათ.

„სევილია“ გათამაშების ცხრილში მერვე ადგილზეა. ანდალუზიელებმა გასულ უქმეებზე, „დეპორთან“ დიდი ანგარიშით წააგეს და, ცხადია, ახლა ინჩასთა გულის მოგება სურს. „სევილიას“ დისკვალიფიცირებული ალვეში და მუხლმტკივანი პაბლო რუისი დააკლდებიან. სამაგიეროდ, ფორმაშია არგენტინელი ხავიერ სავიოლა და თავის ყოფილ გუნდთან უცილობლად ითამაშებს. ასევე იბურთავებს 18 წლის ხოსე ანხელ კრესპო რინკონი, რომლის სახელსაც კვირას მთელი მსოფლიო გაიგებს — მწვრთნელმა ხუანდე რამოსმა თვით რონალდინიოს პერსონალური მეურვეობა დაავალა და იმიტომ.

| 10200 | ვალენსია-ბილბაო | 1.85 | 2.20 | 5.50 | 1.00 | 1.38 | 1.57 |
| 10202 | სარაგოსა-სელტა | 2.90 | 2.00 | 3.10 | 1.18 | 1.49 | 1.21 |
| 10630 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 2.40 | 2.00 | 4.00 | 1.09 | 1.50 | 1.33 |

# 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11002 | ლივერპული-მიდლსბრო | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11003 | ბირმინგემი-ფულემი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11004 | ბლექბერნი-ვესტ ჰემი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11005 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11006 | ჩარლტონი-სანდერლენდი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11009 | ვესტ ბრომვიჩი-სიტი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.70 |
| 11010 | ნიუკასლი-არსენალი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.90 |
| 11011 | მანჩესტერი-ევერტონი | 1.70 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11013 | ტოტენჰემი-პორტსმუთი | 1.80 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11100 | დუისბურგი-არმინია | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11101 | აინტრახტი-დორტმუნდი | 3.70 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11102 | ჰამბურგი-ჰერტა | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11103 | ნიურნბერგი-ლევერკუზენი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11104 | შალკე-მაინცი | 1.80 | 12.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11105 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11108 | კიოლნი-ვერდერი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.80 |
| 11150 | სიენა-ემპოლი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11151 | ფიორენტინა-ტრევიზო | 1.50 | 15.00 | 40.00 | 3.50 | 6.00 | 17.00 | 25.00 | 17.00 | 17.00 |
| 11153 | ასკოლი-რეჯინა | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11154 | იუვენტუსი-კალიარი | 1.40 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11156 | ლივორნო-ლაციო | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11157 | მესინა-კიევო | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11158 | პარმა-სამპდორია | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11159 | რომა-პალერმო | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11160 | უდინეზე-ლეჩე | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11161 | ინტერი-მილანი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11191 | ატლეტიკო-ალავესი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11192 | ბარსელონა-სევილია | 1.70 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11193 | ბეტისი-ესპანიოლი | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11194 | ხეტაფე-რასინგი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11195 | დეპორტივო-კადისი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11196 | მალაგა-რეალი | 5.50 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 3.70 | 20.00 | 10.00 | 2.70 |
| 11197 | ოსასუნა-მალიორკა | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11199 | სოსიედადი-ვილიარეალი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11200 | ვალენსია-ბილბაო | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11202 | სარაგოსა-სელტა | 3.70 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11630 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12002 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 12003 | ბირმინგემი-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 12004 | ბლექბერნი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 12005 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 1.70 | 1.90 |
| 12006 | ჩარლტონი-სანდერლენდი | 1.70 | 1.90 |
| 12007 | ჩელსი-უიგანი | 1.90 | 1.70 |
| 12009 | ვესტ ბრომვიჩი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 12010 | ნიუკასლი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 12011 | მანჩესტერი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 12013 | ტოტენჰემი-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 12100 | დუისბურგი-არმინია | 1.70 | 1.90 |
| 12101 | აინტრახტი-დორტმუნდი | 1.90 | 1.70 |
| 12102 | ჰამბურგი-ჰერტა | 1.90 | 1.70 |
| 12103 | ნიურნბერგი-ლევერკუზენი | 2.10 | 1.55 |
| 12104 | შალკე-მაინცი | 2.00 | 1.60 |
| 12105 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 1.70 | 1.90 |
| 12106 | ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი | 2.30 | 1.45 |
| 12108 | კიოლნი-ვერდერი | 2.00 | 1.60 |
| 12150 | სიენა-ემპოლი | 1.60 | 2.00 |
| 12151 | ფიორენტინა-ტრევიზო | 2.00 | 1.60 |
| 12153 | ასკოლი-რეჯინა | 1.60 | 2.00 |
| 12154 | იუვენტუსი-კალიარი | 1.90 | 1.70 |
| 12156 | ლივორნო-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 12157 | მესინა-კიევო | 1.70 | 1.90 |
| 12158 | პარმა-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 12159 | რომა-პალერმო | 1.90 | 1.70 |
| 12160 | უდინეზე-ლეჩე | 1.70 | 1.90 |
| 12161 | ინტერი-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 12191 | ატლეტიკო-ალავესი | 1.70 | 1.90 |
| 12192 | ბარსელონა-სევილია | 1.90 | 1.70 |
| 12193 | ბეტისი-ესპანიოლი | 1.60 | 2.00 |
| 12194 | ხეტაფე-რასინგი | 1.70 | 1.90 |
| 12195 | დეპორტივო-კადისი | 1.70 | 1.90 |
| 12196 | მალაგა-რეალი | 1.90 | 1.70 |
| 12197 | ოსასუნა-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 12199 | სოსიედადი-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 12200 | ვალენსია-ბილბაო | 1.70 | 1.90 |
| 12202 | სარაგოსა-სელტა | 1.70 | 1.90 |
| 12630 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 1.70 | 1.90 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13002 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 13003 | ბირმინგემი-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 13004 | ბლექბერნი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13005 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 1.70 | 1.90 |
| 13006 | ჩარლტონი-სანდერლენდი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | ჩელსი-უიგანი | 2.00 | 1.60 |
| 13009 | ვესტ ბრომვიჩი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 13010 | ნიუკასლი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | მანჩესტერი-ევერტონი | 1.90 | 1.70 |
| 13013 | ტოტენჰემი-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 13100 | დუისბურგი-არმინია | 1.60 | 2.00 |
| 13101 | აინტრახტი-დორტმუნდი | 1.60 | 2.00 |
| 13102 | ჰამბურგი-ჰერტა | 1.70 | 1.90 |
| 13103 | ნიურნბერგი-ლევერკუზენი | 1.60 | 2.00 |
| 13104 | შალკე-მაინცი | 1.70 | 1.90 |
| 13105 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 1.70 | 1.90 |
| 13106 | ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი | 1.90 | 1.70 |
| 13108 | კიოლნი-ვერდერი | 1.60 | 2.00 |
| 13150 | სიენა-ემპოლი | 1.70 | 1.90 |
| 13151 | ფიორენტინა-ტრევიზო | 1.90 | 1.70 |
| 13153 | ასკოლი-რეჯინა | 1.70 | 1.90 |
| 13154 | იუვენტუსი-კალიარი | 1.90 | 1.70 |
| 13156 | ლივორნო-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 13157 | მესინა-კიევო | 1.70 | 1.90 |
| 13158 | პარმა-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 13159 | რომა-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 13160 | უდინეზე-ლეჩე | 1.70 | 1.90 |
| 13161 | ინტერი-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13191 | ატლეტიკო-ალავესი | 1.70 | 1.90 |
| 13192 | ბარსელონა-სევილია | 1.90 | 1.70 |
| 13193 | ბეტისი-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 13194 | ხეტაფე-რასინგი | 1.70 | 1.90 |
| 13195 | დეპორტივო-კადისი | 1.70 | 1.90 |
| 13196 | მალაგა-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 13197 | ოსასუნა-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 13199 | სოსიედადი-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 13200 | ვალენსია-ბილბაო | 1.70 | 1.90 |
| 13202 | სარაგოსა-სელტა | 1.70 | 1.90 |
| 13630 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 1.70 | 1.90 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14002 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.30 | 2.50 |
| 14003 | ბირმინგემი-ფულემი | 1.80 | 2.00 |
| 14004 | ბლექბერნი-ვესტ ჰემი | 1.70 | 2.20 |
| 14005 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 1.55 | 2.30 |
| 14006 | ჩარლტონი-სანდერლენდი | 1.40 | 2.40 |
| 14007 | ჩელსი-უიგანი | 1.06 | 2.80 |
| 14009 | ვესტ ბრომვიჩი-სიტი | 1.90 | 1.90 |
| 14010 | ნიუკასლი-არსენალი | 2.00 | 1.70 |
| 14011 | მანჩესტერი-ევერტონი | 1.12 | 2.50 |
| 14013 | ტოტენჰემი-პორტსმუთი | 1.20 | 2.60 |
| 14100 | დუისბურგი-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 14101 | აინტრახტი-დორტმუნდი | 1.90 | 1.90 |
| 14102 | ჰამბურგი-ჰერტა | 1.60 | 2.30 |
| 14103 | ნიურნბერგი-ლევერკუზენი | 1.95 | 1.80 |
| 14104 | შალკე-მაინცი | 1.20 | 2.60 |
| 14105 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 1.90 | 1.90 |
| 14108 | კიოლნი-ვერდერი | 2.40 | 1.40 |
| 14150 | სიენა-ემპოლი | 1.80 | 2.00 |
| 14151 | ფიორენტინა-ტრევიზო | 1.05 | 2.90 |
| 14153 | ასკოლი-რეჯინა | 1.80 | 2.00 |
| 14156 | ლივორნო-ლაციო | 1.70 | 2.10 |
| 14157 | მესინა-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 14158 | პარმა-სამპდორია | 2.00 | 1.80 |
| 14159 | რომა-პალერმო | 1.60 | 2.30 |
| 14160 | უდინეზე-ლეჩე | 1.60 | 2.40 |
| 14161 | ინტერი-მილანი | 1.90 | 1.90 |
| 14191 | ატლეტიკო-ალავესი | 1.40 | 2.40 |
| 14192 | ბარსელონა-სევილია | 1.15 | 2.60 |
| 14193 | ბეტისი-ესპანიოლი | 1.70 | 2.10 |
| 14194 | ხეტაფე-რასინგი | 1.60 | 2.30 |
| 14195 | დეპორტივო-კადისი | 1.40 | 2.40 |
| 14196 | მალაგა-რეალი | 2.20 | 1.70 |
| 14197 | ოსასუნა-მალიორკა | 1.30 | 2.50 |
| 14199 | სოსიედადი-ვილიარეალი | 1.90 | 1.90 |
| 14200 | ვალენსია-ბილბაო | 1.30 | 2.50 |
| 14202 | სარაგოსა-სელტა | 1.90 | 1.90 |
| 14630 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 1.70 | 2.10 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15002 | ლივერპული-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | ბირმინგემი-ფულემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ბლექბერნი-ვესტ ჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | ჩარლტონი-სანდერლენდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ჩელსი-უიგანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | ვესტ ბრომვიჩი-სიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | ნიუკასლი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | მანჩესტერი-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | ტოტენჰემი-პორტსმუთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15100 | დუისბურგი-არმინია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15101 | აინტრახტი-დორტმუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15102 | ჰამბურგი-ჰერტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15103 | ნიურნბერგი-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15104 | შალკე-მაინცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15105 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15106 | ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15108 | კიოლნი-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15150 | სიენა-ემპოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15151 | ფიორენტინა-ტრევიზო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15153 | ასკოლი-რეჯინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15154 | იუვენტუსი-კალიარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15156 | ლივორნო-ლაციო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15157 | მესინა-კიევო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15158 | პარმა-სამპდორია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15159 | რომა-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15160 | უდინეზე-ლეჩე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15161 | ინტერი-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15191 | ატლეტიკო-ალავესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15192 | ბარსელონა-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15193 | ბეტისი-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15194 | ხეტაფე-რასინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15195 | დეპორტივო-კადისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15196 | მალაგა-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15197 | ოსასუნა-მალიორკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15199 | სოსიედადი-ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15200 | ვალენსია-ბილბაო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15202 | სარაგოსა-სელტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15630 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16002 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.20 | 3.40 |
| 16003 | ბირმინგემი-ფულემი | 1.60 | 2.10 |
| 16004 | ბლექბერნი-ვესტ ჰემი | 1.45 | 2.30 |
| 16005 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 1.35 | 2.60 |
| 16006 | ჩარლტონი-სანდერლენდი | 1.20 | 3.20 |
| 16009 | ვესტ ბრომვიჩი-სიტი | 1.90 | 1.65 |
| 16010 | ნიუკასლი-არსენალი | 2.30 | 1.45 |
| 16011 | მანჩესტერი-ევერტონი | 1.06 | 5.20 |
| 16013 | ტოტენჰემი-პორტსმუთი | 1.10 | 4.75 |
| 16100 | დუისბურგი-არმინია | 1.60 | 2.00 |
| 16101 | აინტრახტი-დორტმუნდი | 1.70 | 1.90 |
| 16102 | ჰამბურგი-ჰერტა | 1.35 | 2.50 |
| 16103 | ნიურნბერგი-ლევერკუზენი | 1.80 | 1.70 |
| 16104 | შალკე-მაინცი | 1.12 | 4.20 |
| 16105 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 1.75 | 1.85 |
| 16108 | კიოლნი-ვერდერი | 2.50 | 1.35 |
| 16150 | სიენა-ემპოლი | 1.50 | 2.20 |
| 16151 | ფიორენტინა-ტრევიზო | 1.05 | 5.80 |
| 16153 | ასკოლი-რეჯინა | 1.50 | 2.20 |
| 16156 | ლივორნო-ლაციო | 1.40 | 2.30 |
| 16157 | მესინა-კიევო | 1.60 | 2.00 |
| 16158 | პარმა-სამპდორია | 2.10 | 1.55 |
| 16159 | რომა-პალერმო | 1.35 | 2.60 |
| 16160 | უდინეზე-ლეჩე | 1.25 | 3.00 |
| 16161 | ინტერი-მილანი | 1.75 | 1.80 |
| 16191 | ატლეტიკო-ალავესი | 1.25 | 3.30 |
| 16192 | ბარსელონა-სევილია | 1.04 | 4.50 |
| 16193 | ბეტისი-ესპანიოლი | 1.45 | 2.30 |
| 16194 | ხეტაფე-რასინგი | 1.30 | 2.90 |
| 16195 | დეპორტივო-კადისი | 1.25 | 3.20 |
| 16196 | მალაგა-რეალი | 2.60 | 1.35 |
| 16197 | ოსასუნა-მალიორკა | 1.20 | 3.50 |
| 16199 | სოსიედადი-ვილიარეალი | 1.60 | 1.90 |
| 16200 | ვალენსია-ბილბაო | 1.15 | 3.80 |
| 16202 | სარაგოსა-სელტა | 1.60 | 1.90 |
| 16630 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 1.40 | 2.40 |

## გოლი:წყვილი-1ლი კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17002 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ბირმინგემი-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ბლექბერნი-ვესტ ჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ჩარლტონი-სანდერლენდი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ჩელსი-უიგანი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | ვესტ ბრომვიჩი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | ნიუკასლი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | მანჩესტერი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | ტოტენჰემი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17100 | დუისბურგი-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17101 | აინტრახტი-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17102 | ჰამბურგი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17103 | ნიურნბერგი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17104 | შალკე-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17105 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17106 | ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი | 1.85 | 1.95 |
| 17108 | კიოლნი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17150 | სიენა-ემპოლი | 1.85 | 1.95 |
| 17151 | ფიორენტინა-ტრევიზო | 1.85 | 1.95 |
| 17153 | ასკოლი-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 17154 | იუვენტუსი-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17156 | ლივორნო-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17157 | მესინა-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17158 | პარმა-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17159 | რომა-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17160 | უდინეზე-ლეჩე | 1.85 | 1.95 |
| 17161 | ინტერი-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17191 | ატლეტიკო-ალავესი | 1.85 | 1.95 |
| 17192 | ბარსელონა-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17193 | ბეტისი-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17194 | ხეტაფე-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17195 | დეპორტივო-კადისი | 1.85 | 1.95 |
| 17196 | მალაგა-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17197 | ოსასუნა-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 17199 | სოსიედადი-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17200 | ვალენსია-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17202 | სარაგოსა-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17630 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |

9 დეკემბერი. ვერის ბაღი

**ᲐᲕᲘᲐᲛᲨᲔᲜᲘ 81:56 ᲡᲡᲣ**

*25:6 16:26 23:16 17:8*

**ᲐᲕᲘᲐᲛᲨᲔᲜᲘ:** დ. ბერიშვილი (11), ი. ხოშტარია (15), მარკოიშვილი (24), მინაშვილი (14), როდუმტა (5); ნინიაშვილი (10), მოსეშვილი (2), წოწელია
**ᲡᲡᲣ:** თორთლაძე (18), პატარაია, ჯიქია, კორძაძე (6), ლ. ნოზაძე (3); მ. ხოშტარია (16), ონიკაშვილი (2), ქვილითაია (7), ბენდიანიშვილი (4)
**ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ:** დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა
**ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘ:** თენგიზ ქიქოძე

**ᲓᲘᲜᲐᲛᲝ 85:87 ᲐᲖᲝᲢᲘ**

*22:25 29:26 15:24 19:12*

**ᲓᲘᲜᲐᲛᲝ:** გულისაბედაშვილი (7), ვ. მაისურაძე (12), ლაფანაშვილი (22), ბადრიძე (11), სუხიშვილი (16); წივწივაძე (13), გვიმრაძე (4), ძიძიგური
**ᲐᲖᲝᲢᲘ:** ჟღენტი (5), ფაიქრიძე (1), ლიპარტელიანი (16), გოგობერიშვილი (30), იმნაძე (9); დანელიანი (13), არწივიძე (11), გოგსაძე, ცეკვავა (2)
**ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ:** მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა
**ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘ:** მურმან ქურიძე

**ᲗᲡᲣ-ᲜᲘᲙᲝᲠᲐ 128:89 ᲛᲐᲙᲐᲑᲘ**

*19:29 36:23 27:16 44:21*

**ᲗᲡᲣ-ᲜᲘᲙᲝᲠᲐ:** ი. ბერიშვილი (25), ი. მასურაძე (20), ფანჩულიძე, ლეჟავა (29), მარხვაშვილი (4), ვეფხვაძე (3), უგრეხელიძე (8), ტყეშელავა (12), ტყეშელაშვილი (6), სანიკიძე (5), საყვარელიძე (11), ლომიძე (2)
**ᲛᲐᲙᲐᲑᲘ:** დოლიძე (12), კორკოტაძე (9), ვაშაკიძე (21), აბულაძე (21), გ. შერმადინი (22), ენუქიძე (2), ბარსეგიანი (2), ხორავა
**ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ:** დავით ბერეკაშვილი, დავით არეშიძე
**ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘ:** როლანდ გელოვანი

**ᲡᲢᲣ — ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ**

გადაიდო

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

# ᲗᲘᲗᲔᲑᲘ ᲩᲥᲐᲠᲐ!

## ᲕᲔᲠᲘᲡ ᲑᲐᲦᲨᲘ ᲣᲨᲣᲥᲝᲑᲐᲛ ᲨᲔᲛᲝᲘᲐᲠᲐ



გურამ მურაჩაშვილის ფოტო

ლექსო ლაფანაშვილის (№7) ქულუხვობით დინამოელებმა ვერ ისარგებლეს

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲞᲔᲠᲢᲐᲘᲐ

**ᲒᲣᲨᲘᲜ** საქართველოს ჩემპიონატს ძველმა სენმა შეახსენა თავი. ვერის ბაღი გაბრდღვიალებული არც აქამდე ყოფილა, თუმცა გუშინ ელექტროენერგიის არასტაბილურობამ ერთი მატჩი, სტუ — „ქუთაისი“ ჩაშალა, ხოლო ტურის ცენტრალურ შეხვედრას ლაზათი დაუკარგა.

„დინამოსა“ და აზოტის“ შერკინებას ერთობ დაძაბული ფინალი ჰქონდა, მაგრამ ბოლო მეოთხედში გამორთულმა დენმა თამაშს ელფერი დაუკარგა. ტაბლო გამორთული იყო, ანგარიშს ვერ გაიგებდი და უშუქობა მოთამაშეებსაც უშლიდა ხელს. ვერ ვიტყვით, მოედანზე წყვდიადს დაესადგურებინაო, თუმცა თამაშისთვის შეუფერებელი ატმოსფერო რომ იდგა, ამას რა ფიცი-მტკიცი სჭირდება.

არადა, თამაში სწორედ ბოლო მეოთხედში დაიძაბა, მანამდე ხან ერთ გუნდს ეპყრა 5-10 ქულიანი ლიდერობა და ხან მეორეს. ჰოდა, ანგარიში რომ გათანაბრდა და საფინალო სირენამაც მოატანა, მაყურებელთა ინტერესიც გაცხოველდა. ქომაგთა ცნობისმოყვარეობას ადგილობრივი დიქტორი, აკაკი მეგრელაძე აკმაყოფილებდა, რომელიც ყოველი ბურთის ჩაგდებისას იმდენ თითს ასწევდა, რამდენქულიანი სხვაობაც იყო ანგარიშში.

მეგრელაძის ჟესტიკულაცია თავიდან ყველასთვის გასაგები იყო, რადგან შუქი რომ გამოირთო, „აზოტი“ 10 ქულას იგებდა და მაყურებელმაც იცოდა, ვინ იყო ლიდერი. თუმცა მერე „დინამომ“ იყოჩაღა და დაწინაურდა კიდეც, ლიდერმა კი ცვალებადობა იწყო.

ამას თავი დავანებოთ, მოთამაშეებმა ვარაუდით თუ იცოდნენ, რამდენი წამი ჰქონდათ შესატევად. ამიტომაც ყოველგვარ ტაქტიკურ სვლებს, რაც დროის მოგებასთან იყო დაკავშირებული, აზრი დაეკარგა და გუნდებიც ალალბედზე უტევდნენ ერთმანეთს.

ეს ყველაფერი ბოლო მეოთხედში მოხდა, მანამდე კი მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. პირველ ათწუთეულში გუნდებმა სამქულიანების ლაწალუწი ატეხეს და უმართლებდათ კიდეც. რუსთაველთაგან რამაზ გოგებერიშვილმა გამოიდო თავი, დინამოელთაგან კი შორი მიზანი ლექსო ლაფანაშვილსა და ვანო მაისურაძეს ჰქონდათ მომართული.

„აზოტმა“ სცადა, სლოვაკეთიდან მობრუნებული ცენტრის, დავით იმნაძის ფარქვეშა პოტენციალი გამოეყენებინა, მაგრამ მას თავიდან თამაში რომ არ „გაეხსნა“, თბილისელთა ცენტრ ლადო სუხიშვილის დამსახურება იყო.

რუსთაველებმა ზუსტ სამქულიანებს შედეგიანი გარღვევებიც რომ შეუთავსეს, მეხუთე წუთისთვის 15:8 დაწინაურდნენ. დინამოელთა თავკაცმა დავით უსტიაშვილმა წუთშესვენება აიღო და მოედანზე დაბრუნებული მისი შეგირდები ახლებურად ათამაშდნენ. თბილისელებმა ცენტრზე ააგეს თამაში და ლადო სუხიშვილმა ოპონენტ იმნაძეს ერთ შეტევაში 2 ჯარიმა აჰკიდა.

იმნაძე სათადარიგოებში გაიხმეს, რასაც დინამოელთა გააქტიურება მოჰყვა და რამდენიმე სწრაფი გარღვევის შემდეგ ქუთაისელთა ლიდერობა ორ ქულამდე შემცირდა — 24:22.

მეორე მეოთხედში „დინამომ“ სუსტი წერტილი დაუჭირა მეტოქეს და ლაფანაშვილის სამქულიანის შემდეგ დაწინაურდა კიდეც — 28:27. ლაფანაშვილს ბექა წივწივაძემაც შეაშველა ხელი და ტაიმის დასრულებამდე 4 წუთით ადრე უსტიაშვილის სამწყსო 42:33 გალიდერდა.

„აზოტმა“ პრესინგს მიმართა, მაგრამ ამით ბევრს ვერაფერს მიაღწია, სანამ დავით არწივაძემ მიჯრით ორი სამქულიანი არ მიითვალა. იქით დანელიანმაც გამოიფხიზლა ფარქვეშ, ერთი-ორი ბურთი ჩააგდო და რუსთაველთა ამ გაქცევას რამაზ გოგობერიშვილმა დაუსვა მოხდენილი წერტილი — 51:51 საპირველტაიმოდ.

მესამე მეოთხედში მოედანზე იმნაძე დაბრუნდა, რომელმაც ამჯერად სამწამიანში ფეხი გაიმაგრა და „აზოტმაც“ შვება იგრძნო — ორნიშნა ლიდერობას მიაღწია.

ბოლო მეოთხედი, როგორც გითხარით, რუსთაველთა 9-ქულიანი უპირატესობით განახლდა და უშუქობისა და ჟესტიკულაციებში ჩაიარა. „დინამომ“ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, დაცვა გაამაგრა და სამქულიანებს მიეძალა. გიორგი გულისაბედაშვილისა და ლაფანაშვილს ტყორცნები წაუვიდათ და ანგარიშიც გათანაბრდა. ბოლო წუთი რომ დაიწყო, „აზოტი“ ქულას იგებდა და ბექა წივწივაძემ შეტევაში დასანანად დაკარგა ბურთი, თუმცა ლაფანაშვილს საქმის გამოსწორება სამქულიანით შეეძლო, მაგრამ...

„დინამო“ იღბალმა ბოლომდე მაინც არ გაწირა და რუსთაველებმა შეტევაში გარბენი გააკეთეს. ბექა წივწივაძის განწირულმა სამქულიანმა მიზანს ვერ უწია და სირენაც გაისმა — „დინამომ“ მორიგი მატჩი წააგო ბოლო წუთზე.

7 დეკემბერი

**ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐ 111:87 ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ**
**ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐ:** ჯეკსონი (30), ონილი (25 ქულა. 10 მოხსნა), ჯონსი (17), იასიკევიჩუსი (12 ქულა, 8 მოხსნა, 7 პასი)
**ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ:** არენასი (17), ჯემისონი (16 ქულა. 12 მოხსნა), ბატლერი (14)

**ᲡᲐᲙᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ 95:106 ᲰᲘᲣᲡᲢᲝᲜᲘ**
**ᲡᲐᲙᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ:** ბიბი (24), ველსი (21), მილერი (21), სტოიაკოვიჩი (15)
**ᲰᲘᲣᲡᲢᲝᲜᲘ:** მაკგრეიდი (28), მინი (21), ანდერსონი (17), ვესლი (12)

NBA ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

# ᲛᲔᲤᲔᲔᲑᲘ ᲒᲐᲣᲤᲔᲠᲣᲚᲓᲜᲔᲜ, ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐ ᲙᲘ ᲛᲝᲤᲔᲠᲘᲐᲜᲓᲐ

**„ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐ ᲞᲔᲘᲡᲔᲠᲖᲛᲐ“** ბოლოს რონ არტესტი რომ მოისაკლისა, მაშინ ზაზა ფაჩულიას „ატლანტასთანაც“ კი წააგო, თანაც საკუთარ კედლებში. მაჯის ტკივილმა ახლა „ვაშინგტონთან“ შეხვედრასაც გამოაკლო 2003-04 წლების სეზონის საუკეთესო დამცველი და ასოციაციის ერთ-ერთი ყველაზე მარჯვედ შემტევი გუნდის წინააღმდეგ ინდიანელები თითქმის განიარაღებულები წარდგნენ. ეს კიდევ არაფერი: „პეისერზს“ არც ძირითადი გამთამაშებელი ჯამაალ ტინსლი ჰყავდა მწყობრში, ხოლო კიდევ ერთი დამწყებხუთეულელი, თავდამსხმელი ოსტინ კროშერი მატჩამდე ქარბუქში მოჰყვა და მხოლოდ მეორე ტაიმისთვის მივიდა „კონსეკო ფილდჰაუსში“.

მოკლედ, „ვაშინგტონს“ თითქოს ხელს არაფერი უშლიდა, რათა ინდიანაპოლიდან გამარჯვება წაეღო. ყველაფერი მისდა სასიკეთოდ დაიწყო კიდეც — დედაქალაქელები ორ წუთში 8:0 დაწინაურდნენ, პირველი მეოთხედი 30:18 მოიგეს და მეორეში 16 ქულითაც კი გაიჭრნენ, მაგრამ...

„ვაშინგტონი“ მარჯვე შემტევი კი გახლავთ, მაგრამ „ინდიანას“ თავის დაცვა გამოსდის სხვებზე უკეთ.

მასპინძლები ელდის შემდეგ დროულად მოეგნენ გონს და საქმეს მიხედეს. ტინსლის შემცვლელმა ენტონი ჯონსმა ფრედ ჯონსი და შარუნას იასიკევიჩუსი დაიხმარა და სტუმართა ჩაუქი მექულე ჯილბერტ არენასი მათი ხელების ტყეში საბოლოოდ ჩაიკარგა. მატჩში საშუალოდ 28 ქულის მხვეჭავმა არენასმა თამაშში 18 ტყორცნიდან 13 გააფუჭა და შეხვედრა 17 ქულით გაასრულა. ახალბედა ფორვარდმა დენი გრეინჯერმა „ვიზარდსის“ მეორე ლიდერი, ანთაუნ ჯემისონი გათოკა და „ინდიანამ“ ანგარიშში გარღვევის დაფარვა ვაშინგტონელებისთვის შემაძრწუნებელი სისწრაფით იწყო. სტივ ჯეკსონმა მეორე მეოთხედში 13 ქულა გააკეთა და ტაიმი რომ მორჩა, დედაქალაქელთა 16-ქულიანი ლიდერობა გაცამტვერებული იყო, „ვაშინგტონი“ იგებდა და ვინძლო, საბოლოოდ დაკარგვოდა თამაშის ხალისი. მესამე მეოთხედში „ინდიანამ“ საერთოდ მიწასთან გაასწორა უკანმოუხედავი შეტევის მოყვარული მეტოქე — 12-წუთეული 37:20 მოუგო და საბოლოოდაც გატეხა. „ვაშინგტონის“ თავკაცი ედი ჯორდანი ნამარცხევს ჩიოდა — მშვენიერი სათამაშო გეგმა გვაქვს, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ ის მხოლოდ მოედნის ერთ ნახევარს ერგებაო. მისი გუნდი დაცვაში რომ წყალს და მეტოქეთა ტყორცნების ნიაღვარს მიაქვს, ამას თუ გულისხმობდა.

„ინდიანა“ კი, როგორც ჩანს, თანდათან ფეხზე მოდის და იმ გუნდს ემსგავსება, ვისთვისაც ჩემპიონობაზე ლაპარაკი მხოლოდ ფუჭი ტრაბახი არაა.

დღის მეორე შეხვედრაში ტრეისი მაკგრეიდის „ჰიუსტონმა“ საკრამენტოშივე მოინელა იქაური „კინგზი“, ვისთვისაც ეს მარცხი ზედიზედ მეხუთე გამოდგა, თანაც მოყოლებით. აქედან ოთხჯერ შინ წააგო. ასეთი უხეირო სერია „საკრამენტოს“ ბოლო შვიდი წელია, არ ჰქონია. მთელი ეს ხანები „მეფეები“ საჩემპიონოდ იყვნენ შემართულნი, მაგრამ დასავლეთის ფინალს ვერ გასცდნენ. დაღმართს აგერ, აღმართიც მოჰყვა (თუ პირიქით) და „კინგზის“ პასიფიკ-დივიზიონის „უკონკურენტო“ მაჩანჩალად იქცა.

„ჰიუსტონთან“ ურიგოდ არ უბურთავიათ მასპინძლებს, მაგრამ მაკგრეიდისთან და კომპანიასთან მაინც ვერა გამოუვიდათ რა.

მეოთხე მეოთხედის დასაწყისში 83:75 იგებდნენ, მაგრამ 8-წუთიანი მონაკვეთი 0:17 (!) წააგეს და მეტოქეს საკუთარი ხელებით ჩააბარეს გამარჯვება. „ჰიუსტონმა“ კი, რაც მაკგრეიდი მოუკეთდა, ოთხი მატჩიდან სამი მოიგო და აუტსაიდერის უსიამოვნო სტატუსსაც ალბათ მალე მოიშორებს.




დენი გრეინჯერის „ინდიანამ“ ვაშინგტონი სადღაც ქვემოთ დატოვა

ᲙᲝᲢᲔ ᲧᲝᲠᲨᲘᲐ

# რეგულარული ჩემპიონატი

# ხმაური ქანთრის დედაქალაქში

8 დეკემბერი

**ნეშვილი 1:5 რეინჯერსი**

*0:2 0:3 1:0*

**0:1 იაგრი (13), 0:2 პრუხა (20), 0:3 რუჩინი (23), 0:4 პრუხა (27), 0:5 რუჩინი (31) 1:5 პერო (45)**

**მატჩის** წინ ერთ-ერთ ნიუიორკულ გაზეთში ასეთი სტატია დაიბეჭდა:

„რეინჯერები მუსიკის დედაქალაქში ხმაურის ასატეხად მიდიან". ალბათ, თავად წერილის ავტორიც ვერ იფიქრებდა, რამხელა ხმაურს ატეხდა მისი ქალაქის გუნდი ქანთრის დედაქალაქში. განსაკუთრებით იარომირ იაგრი გამოირჩა. ჩეხი ხომ ისედაც საუცხოოდ ატარებს ამ ჩემპიონატს, მაგრამ იაგრი ლამის დაფრინავდა და ყველაფერს აკეთებდა, რასაც ისურვებდა. ჯერ იყო და კარის უკნიდან შესანიშნავი გასრიალების შემდეგ შაიბა თანამემამულე ტომაშ ვოკოუნის კარის კუთხეში მოათავსა, შემდეგ კი ორი გროსმაისტერული პასით პეტრ პუხა და სტივ რუჩინი დაასაჩუქრა, თუმც ეს სრულიად როდი გამოხატავს იმ შთაბეჭდილებას, რაც მან თავისი შთამაგონებელი თამაშით დატოვა. შედეგად იარომირმა ოტაველ ჯეისონ სპეცას გაუსწრო და 44 (22+22) ქულით კვლავ გაპირველდა ბომბარდირთა დავაში.

**სან ხოსე 6:2 ფლორიდა**

*1:1 4:1 1:0*

**1:0 მაკოლი (12), 1:1 უაისი (15), 2:1 სმმიტი (26), 3:1 სმიტი (30), 4:1 მარლო (33), 5:1 სტივენსონი (35), 5:2 შტუმპელი (36) 6:2 ს. ტორნტონი (58)**

**წარმოუდგენელია**, როგორ შეუძლია ერთი, თანაც ექსტრა კლასის მოთამაშის შემატებამ ასე გაამხნევოს გუნდი. მას შემდეგ, რაც „სან ხოსემ" ჯო ტორნტონი შეიძინა, ხუთი შაიბის გატანა ნორმად ექცა. ამჯერად „ზვიგენებმა" გეგმას გადააჭარბეს კიდეც. რა თქმა უნდა, ამაში ტრონტონის ხელიც ერია. ჯომ ზედიზედ მეოთხედ ორი ქულა (ამჯერად 2 პასის ხარჯზე) მიითვალა და თავის ბიძაშვილ სკოტს გაატანინა, ხოლო წინა კვირის ლაურეატმა პატრიკ მარლომ ასევე მეოთხე თანმიმდევრული სამქულიანი თამაში (გოლი+2 პასი) ჩაატარა.



„რეინჯერსის" მცველი ფიოდორ ტუტინი თავის კიპერ ჰენრიკ ლუნდკვისტს მორიგ მოგებას ულოცავს

**პიტსბურგი 0:5 მინესოტა**

*0:1 0:2 0:2*

**0:1 გაბორიკი (2), 0:2 დეიგლი (25), 0:3 უოლცი (28), 0:4 როლსტონი (43), 0:5 დეიგლი (55)**

**როგორ** უნდა ჩაეტარებინა ეს მატჩი „პიტსბურგს, რომ სიდნი კროსბისაც კი გაეკრიტიკებინა თავისი პარტნიორები. 18 წლის ვუნდერკინდი მოსალოდნელზე უკეთესი თამაშის გარდა, მოკრძალებითა და თავმდაბლობით შეიყვარა საზოგადოებამ. მაშინაც კი, როცა კროსბი ბრწყინვალედ ატარებს მატჩს, ის უფრო პარტნიორებს აქებს, ან სხვა რამეებზე საუბრობს. მაგრამ ამჯერად „პინგვინებმა" ისე უსუსურად იასპარეზეს, რომ კროსბიმაც ვერ მოითმინა.

„ამას არანაირი გამართლება არ აქვს. უბრალოდ, უნდა მოიწადინო, ფეხები აამოძრავო, ძალისმიერი ილეთები ჩაატარო, იბრძოლო და ბედიც გაგიღიმებს" — თქვა მან ნამატჩევს.

რაც შეეხება თავად თამაშს, უკვე მეოე წუთზე მარიან გაბორიკმა მცველებს აართვა შაიბა და გაიტანა, მეორე პერიოდში კი სტუმრებმა ყველა საკითხი მოხსნეს.

**კოლუმბუსი 4:3 აილენდერსი**

*2:0 1:2 0:1 0:0 1:0*

***ბულიტების სერიაში***

**1:0 ჟერდევი (3), აილენდრესი (2:0)ფუტი (9) 2:1 იორკი (22), 3:1 ფიოდოროვი (37) 3:2 ჰანტერი (39), 3:3 პერიში (60), 4:3**

***გადამწყვეტი ბულიტი: ვიბორნი***

**ნეტავ** „კოლუმბუსსა" და „აილენდერსს" უფრო ხშირად უწევდეთ თამაში. სხვადასხვა კონფერენციებში მოასპარეზე ეს გუნდები სეზონში მხოლოდ ერთხელ თუ ორჯერ ხვდებიან ერთმანეთს, თორემ 2000 წლიდან „კოლუმბუსს" 7 თამაშიდან 6 მოუგია და ერთიც არ წაუგია.

ასევე აღსანიშნავია სერგეი ფიოდოროვის ამ სეზონსა და ახალ კლუბში გატანილი პირველი შაიბა.

**ბუფალო 3:2 ანაჰაიმი**

*0:1 0:0 2:1 1:0*

**0:1 კუნიცი (8), 1:1 ვანეკი (49), 1:2 ულპული (51), 22 კოტალიკი (57), 3:2 აფინოგენოვი (65)**

**ფილადელფია 2:3 ედმონტონი**

*0:1 1:2 1:0*

**0:1 მორო (17), 1:1 რადიოევიჩი (23), 1:2 სტოლი (28), 13 მორო (34), 2:3 კაპანენი (47)**

**ლოს ანჯელესი (2:3) კაროლინა**

*0:2 0:1 2:0*

**0:1 კოული (11), 0:2 უილიამსი (14), 0:3 კოული (27), 23 კოუენი (43), 2:2 ბელანჟე (46)**

**ტამპა 5:4 სენტ ლუისი**

*1:1 1:2 3:1*

**1:0 მოდინი (13), 1:1 სილინჯერი (14), 1:2 სილინჯერი (31), 1:3 ტკაჩუკი (35), 23 ფედოტენკო (37), 3:3 ტეილორი (47), 4:3 სან ლუი (54), 5:3 ფედოტენკო (60), 54 ტკაჩუკი (60)**

**სამველ ლარიბიანი**





მარკუს როგანი სეზონს მსოფლიოს რეკორდით ამთავრებს

# რეკორდებით დაიწყო



იური პრილუკოვი

**იტალიის** ქალაქ ტრიესტის 25-მეტრიან აუზში მიმდინარეობს ევროპის მოცურავეთა ჩემპიონატი, რომელშიც 37 ქვეყნის 500 სპორტსმენი მონაწილეობს.

200 მეტრზე ვაჟთა გულაღმა ცურვაში მსოფლიოს რეკორდით გაიმარჯვა ავსტრიელმა მარკუს როგანმა — 1.50,43.

400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ევროპის რეკორდი დაამყარა კონტინენტის ოთხგზის ჩემპიონმა, 21 წლის ეკატერინებურგელმა იური პრილუკოვმა — 3.37,81.



## მსოფლიოს თასი

ხანტი-მანსიისკი. რუსეთი 26 ნოემბერი - 18 დეკემბერი

მეოთხედფინალი. 1-8 ადგილები

| | | |
|---|---|---|
| ევგენი ბარეევი (რუსეთი) | 0,5:0,5 | რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) |
| სერგეი რუბლევსკი (რუსეთი) | 0,5:0,5 | ეტინ ბაკრო (საფრანგეთი) |
| ლევონ აროიანი (სომხეთი) | 0,5:0,5 | მიხეილ გურევიჩი (ბელგია) |
| ბორის გელფანდი (ისრაელი) | 1:0 | ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) |

# ებრაელმა რუსს 37-ზე შეუსრულა

**მერვედფინალის** შემდეგ მოჭადრაკეები ორ ნაწილად დაიყვნენ. მოგებულებმა პირველ-მერვე ადგილებისთვის გააგრძელეს ბრძოლა, წაგებულებმა კი მეცხრე-მეთექვსმეტე ადგილებისთვის.

მაღალი ადგილებისთვის მებრძოლებიდან მხოლოდ ებრაელმა ბორის გელფანდმა იმარჯვა, მან რუსი ალექსანდრ გრიშჩუკი დაამარცხა.

გელფანდმა ლაზიერის გამბიტით დაიწყო პარტია, ცენტრში სამი პაიკი დასვა და უკან მხედრები მიუსვა. მე-9 სვლაზე გრიშჩუკმა პაიკით შეუტია თეთრების არმიას და თამაშიც გაიხსნა. გელფანდი საპასუხო იერიშებს შეუდგა, საკუთარი ლაზიერით გასაქანი არ მისცა შავ ხელმწიფეს და 37-ე სვლაზე მეტოქეს ალამი დააშვებინა.

დღეს განმეორებითი მატჩებია.

**ლაშა გეგეჭკორი**



ბორის გელფანდი

## მაგთიკომის პირველობა

# ვინ დაიჭერს სამ ქურდღელს

## სასწორზე ჩემპიონობა, „სარბიელის“ სინი და ევროპის ჩელენჯ ქაფის საგზური



რით დამთავრდება „ლოკომოტივისა“ და „აკადემიის“ კიდევ ერთი, ხვალინდელი შეხვედრა?

**კვირას** „მაგთიკომის“ პირველობის ბოლო მატჩია, რომელიც ფინალისტ თბილისის „ლოკომოტივსა“ და „აკადემიას“ შორის უძლიერესს გამოავლენს.

ამასთან დაკავშირებით გუშინ პრესკონფერენცია გაიმართა. ითქვა, რომ „ლოკომოტივი“ კარგად ჩატარებული სეზონის შემდეგ ფინიშთან ძველებურად ყოჩაღად ველარ გამოიყურება, „აკადემია“ კი პირიქით, სწორედ ახლაა საუკეთესო ფორმაში.

ასე რომ, სპეციალისტთა აზრით, ხვალ მეტად დაძაბული და საინტერესო ბრძოლაა მოსალოდნელი.

ამ ინტერესს ისიც ამძაფრებს, რომ „ლოკომოტივს“, რომელმაც „სარბიელის“ სინი ერთხელ რომ მოიპოვა და მერე აღარავის დაუთმო, კვლავ მოუწევს მისი დაცვა. ამასთან, გამარჯვებულს ევროპის „ჩელენ ჯქაფზე“ გასვლის საშუალებაც ეძლევა, რაც ხვალინდელ ფინალურ ბრძოლას მეტ ინტრიგას სძენს.

ერთი სიტყვით, რაგბის მოყვარულთ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე, სადაც შესვლა უფასოა, დიდი ბრძოლა და კარგი სანახაობა ელით.



# ფერარიმ ვარჯიში შეწყვიტა



**ესპანეთში,** „ხერეს დე ლა ფრონტერას“ ავტოდრომზე ვარჯიშისას, ორ დღეში ორი ავარია შეემთხვა „სკუდერია ფერარის“ ტესტ-მძღოლ ლუკა ბადოერს.

ტრასის ერთი და იმავე ადგილას, ბოლო მოსახვევში, იტალიელი პილოტის ბოლიდს წინა დაკიდულობა გაუტყდა, ტრასიდან გავარდა და ძველი საბურავების ჯებირში შევარდა. მეორე შემთხვევა უფრო მძიმე ჩანდა, „წითელი ბედაური“ გვარიანად დაილეწა, მრბოლი კი, საბედნიეროდ, არ დაშავებულა და დაუხმარებლად ამოვიდა მანქანიდან, თუმც სტიუარდებმა საკაცეზე დააწვინეს და სამედიცინო ცენტრში გააქანეს გამოსაკვლევად.

ლუკამ პირველ ინციდენტამდე 39 წრე გაიარა და 15 მონაწილეს შორის მეთერთმეტე დრო აჩვენა, მეორედ კი მართალია, მხოლოდ 13 წრის გავლა მოასწრო, მაგრამ მისი შედეგი მაინც ვერავინ გააუმჯობესა. მეორე დრო ბარ-ჰონდელ ჯენსონ ბატონს ჰქონდა, ბადოერზე თითქმის წამით უარესი.

ავარიების მიზეზთა დაზუსტებამდე „ფერარიმ“ ხერესში ვარჯიში შეწყვიტა. „წითლები“ ტესტებს მომავალ კვირაში განაახლებენ. საჭეს პირველად მიუჯდება მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი.

ბადოერის გარდა ესპანეთში ჯირითი ვადამდე დაასრულა მიხაელის ძმამ, რალფმა. პატარა შუმის ძველმა ტრავმამ — წელის ტკივილმა — გაუხსენა. მის ნაცვლად სასწრაფოდ უხმეს „ტოიოტას“ მეორე პილოტ იარნო ტრულის. იტალიელმა 59-ჯერ შემოუქროლა წრეს და მეექვსე შედეგი აჩვენა.



# ოლიმპიადა მარკებში

**ჩინეთში** გამოიცა საფილატელიო ალბომი, რომელშიც ასახულია ოლიმპიური თამაშების საუკუნოვანი ისტორია. მასში შესულია სხვადასხვა ქვეყნების 200-ზე მეტი მარკა, სადაც ოლიმპიური თამაშები ჩატარებულა.

ეს მსოფლიოში პირველი საფილატელიო კრებულია, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მოიწონა.

ალბომის ერთ-ერთ ფორზაცზე, რომელსაც „გზა გამარჯვებისკენ“ ჰქვია, დასტამბულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი, ახლა კი მისი საპატიო პრეზიდენტის ესპანელი ხუან ანტონიო სამარანჩის მისალმება.



## მსოფლიოს XVII ჩემპიონატი. ქალები
## სანქტ პეტერბურგი. 5–18 დეკემბერი



AFP სანქტ პეტერბურგიდან

ავსტრალიელების კარს ნორვეგიელი ტონიე ნოსტვოლდი უტევს

# ქალები მთავარი ბრძოლისთვის ემზადებიან

**მსოფლიოს** უძლიერეს ქალ ხელბურთელთა რიგით მე-17 ფორუმზე ჯერ პირველი ჯგუფური ეტაპი მიმდინარეობს. ექვსგუნდა ოთხ ჯგუფში სამი ტურია გამართული. სამ-სამი საუკეთესო ნაკრები პირველობისთვის ბრძოლას ასევე წრიულად გააგრძელებს.

ჩემპიონატი რუსეთის მეორე ქალაქ სანკტ პეტერბურგის ოთხ მოედანზე ტარდება, მთავარი მატჩები კი „ყინულის სასახლეში“ გაიმართება. ტრიბუნებზე ხალვათობაა, თუმც ორგანიზატორები მეორე, ასევე ჯგუფურ ეტაპზე მაყურებელთა მატებას ელიან. ყოველ შემთხვევაში, ბლომად ბილეთები აქვთ შეკვეთილი ფრანგ, დანიელ, ნორვეგიელ, უნგრელ ქომაგებს. აი, ადგილობრივი მოსახლეობა კი, ფავორიტ თანამემამულეთა წაუგებელი სვლის მიუხედავად, დარბაზებს ნაკლებად ეტანება. მთავარი მიზეზი ბილეთების სიძვირეა — ყველაზე იაფები 250 რუბლი (ცხრა დოლარი) ღირს.

ყველა მონაწილე ფინეთის ყურესთან წამოჭიმულ სუპეროტელ „პრიბალტიისკაიაში“ ცხოვრობს. ესეც პირველადაა მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში, ისევე, როგორც მთელი ტურნირის ერთ ქალაქში მოწყობა.

ქულის დაუკარგავად მიდიან მსოფლიოს ჩემპიონ საფრანგეთის, ოლიმპიურ ჩემპიონ დანიის, მასპინძელ რუსეთის, აგრეთვე რუმინეთის ნაკრებები.

ყველაზე დიდსხვაობიანი გამარჯვება შარშანწინდელმა ვიცე-ჩემპიონმა, უნგრეთმა იზეიმა, რომელმაც აუტსაიდერი ავსტრალია 57:9 გაანადგურა.

მოხდა ერთი-ორი მოულოდნელობაც: უსახელო ჰოლანდიელმა ქალებმა ხორვატიის ნაკრებს სძლიეს — 29:27, ევროპის ჩემპიონი ნორვეგიელები კი სამხრეთ კორეელებთან შერცხვრნენ — 25:30.

ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა 30 ბურთის გამტანი ავსტრიელი ტატიანა ლოგვინი, შემდეგ მოდიან ანგოლელი მარსელინა კიალა (28), ავსტრიელი გაბრიელა როტის-ნაგი (27), ჩინელი ვეი-ვეი ლი (25).

**გია ახალაძე**



### ინგლისი

ჩემპიონატი. XXIII ტური

სტოკი 3:2 ლესტერი

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XVI ტური

ალენი 0:0 დინამო
აუე 1:0 პადერბორნი
ჰანზა 1:2 ფიურტი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XX ტური

ლიუბეკი 0:0 ესენი
ვუპერტალი 0:0 კილი

სამხრეთ რეგიონალლიგა XIX ტური

ელვერსბერგი 0:1 ლაუტერნი (მ)
კობლენცი 0:2 კარლსრუე (მ)

### საფრანგეთი

თასის 1/32 ფინალი

დიჟონი 3:1 კლერმონი

### იტალია

სერია B. XIX ტური

ვერონა 2:2 მანტოვა

### თურქეთი

სუპერლიგა. XVI ტური

მანისა 1:0 ქაისერი

### ჰოლანდია

ერედივიზიონი. XV ტური

როდა 0:1 ნაიმეგენი

II დივიზიონი. XXII ტური

აპელდორნი 2:1 მაასტრიხტი
გრააფსხაპი 0:0 ჰაარლემი
ექსელსიორი 4:0 კამბური
დენ ბოსხი 2:2 ემენი
დორდრეხტი 1:0 ოსი
ვოლენდამი 1:1 ზვოლე
იგლსი 1:1 სიტარდი
ტელსტარი 0:1 ვენლო
ვეენდამი 2:0 ალმერე
ეინდჰოვენი — ჰელმონდი ჩაიშალა

### ბელგია

იუპილერლიგა XVI ტური

ბეერსხოტი 2:1 ლოკერენი

### პორტუგალია

სუპერლიგა XIV ტური

სპორტინგი : ამადორა გვიან დამთავრდა

### პოლონეთი

I ლიგა XVII ტური

არკა 0:2 ლეხი

# გერმანია 2006







წუხელ ლაიპციგის „ნოიე მესეს“ პირველ დარბაზში 3 700 იღბლიანმა მოიყარა თავი. მათ ბედმა გაუღიმა, რადგან მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის კენჭისყრას დაესწრნენ. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, ვისაც ბედთან ყოველთვისაც ღიმილიანი ურთიერთობა ჰქონდა: სუპერმოდელ ჰაიდი კლუმს საღამო მიჰყავდა, ჰერ ფრანც ბეკენბაუერმა გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან გადაიღო სურათი, ლოთარ მათეუსს გვერდს მეუღლე უმშვენებდა, ფიფას ლეგენდარული პრეზიდენტი ჟოაო აველანჟი ინტერვიუებს არიგებდა, ხოლო პელე და კრუიფი ერთმანეთს ფეხბურთის მეფურად ეხვეოდნენ. 1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა ჰორსტ ეკელმა ბურთს ახალგაზრდულად ამოსცხო ფეხი, აველანჟის მემკვიდრემ ზეპ ბლატერმა აველანჟის სიძისგან, რიკარდუ ტეიშეირასგან მსოფლიოს თასი მიიბარა, ხოლო ფიფას დიდმოხელემ მარკუს ზიგლერმა ბოლოს ყველაფერს ერთად მოუყარა თავი და მუნდიალის მონაწილე გუნდებიც დააჯგუფა.

**AFP ლაიპციგიდან**












სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე გიორგი კაკაბაძე სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე ოთარ მალლაკელიძე ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge